საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 სექტემბერი, 2015 წელი.

№172 (7817)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ახალი სასწავლო წლის დადგომასთან დაკავშირებით პარაკლისი გადაიხადა და ტაძარში შეკრებილ ახალგაზრდებს და სასულიერო სემინარიისა და აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. პარაკლისის დროს სასულიერო პირებმა შესთხოვეს უფალს, ახალგაზრდებს ღმერთმა გაუხსნას გონება და გული განათლებისა და ყოველივე კეთილის შესამეცნებლად. პარაკლისის დაწყებამდე კი უწმინდესმა ახალგაზრდებს ქადაგებით მიმართა და აღნიშნა, რომ უნდა იკითხონ წიგნები, რაც მათ ჭეშმარიტებისაკენ გზას გაუკვლევს.

„სასწავლებელი — ეს არის ის დაწესებულება, სადაც ადამიანმა შეიძლება ბევრი რამ ისწავლოს და შეიძლება არაფერი არ გამოიტანოს სასწავლებლიდან. ბევრი რამ დამოკიდებულია თქვენზე. პირველი თქვენი თანამგზავრი უნდა იყოს წიგნი, წიგნს უნდა კითხულობდეთ და იგი თქვენ გაგიკვალავთ გზას ჭეშმარიტებისკენ“, — აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესმა შესთხოვა უფალს, რომ ახალგაზრდების მიერ მიღებული განათლება სასარგებლო იყოს მათთვის და ქვეყნისთვის.

* * *

გიორგი მარგველაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად, პირველ კლასიკურ გიმნაზიას სტუმრობდა.

„მინდა მოგილოცოთ ყველას, სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს, მათ მშობლებს დღევანდელი ძალიან სასიხარულო დღესასწაული. განსაკუთრებით მინდა მოგილოცოთ მათ, ვინც დღეს პირველად მიდიხართ სკოლასა და უნივერსიტეტში. ეს აღტაცება ერთად ყოფნის, ერთად სწავლის მინდა, ყველას გაგიზიაროთ და კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით მოგილოცოთ დღევანდელი დღე“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა სკოლა დაათვალიერა და თავის ყოფილ რამდენიმე პედაგოგს შეხვდა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოფელ წილკანში საჯარო სკოლას სტუმრობდა. პრემიერმა ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს და წილკანის სკოლის დირექტორს. ირაკლი ღარიბაშვილმა სკოლის დირექტორს გამოცდილი პედაგოგი უწოდა, რომელიც 30 წელია, ჩვენს ქვეყანას თაობებს უზრდის.

„ეს არის ახალი სკოლა, რომელიც ჩვენმა მთავრობამ ააშენა, მშენებლობა გასული წლის დეკემბერში დავასრულეთ. აქ გახლავთ ყველა პირობა იმისათვის, რომ ჩვენ აღვზარდოთ ჩვენი ბავშვები და მათ მივცეთ სათანადო განათლება. მე ვიცი, სოფელ წილკანში ამ სკოლის აშენებამდე აქ იყო საკმაოდ ძველი შენობა, სადაც ბავშვებს სამ ცვლაში სწავლა უწევდათ. ეს დრო საქართველოში აღარ დაბრუნდება. ჩვენი მომავალი თაობა უნდა გაიზარდოს ასეთ განათებულ, ასეთ თანამედროვე სკოლებში. თუ გვაქვს პრეტენზია, რომ გვსურს ძლიერი სახელმწიფო ავაშენოთ, მაშინ ჩვენ, უპირველესად უნდა ვიზრუნოთ ჩვენს განათლებაზე, ვინაიდან, განათლებული თაობის გარეშე ყოველგვარი წინსვლა და განვითარება შეუძლებელია“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

◎ ტაშ-ფანდურა მგლოვიარე ქუთაისში...

ნიკა გვარამია ბავშვებს და მოზარდებს „აბოლებს“...

ნიკუშ, ძმა, მოიხედე აქეთ! აბა ეგ „ცირკები“ თბილისში გამართე! თავზე დაგამხობენ სცენას მაგ შენი ტრანსსექსუალი მასხარებით!

გუშინ სპეციალურად ვუყურე „რუსთავი-2“-ის ქუთაისში გამართულ „ლაივ შოუს ღია ცის ქვეშ!“ ძალიან მაინტერესებდა, როგორ მოიქცეოდნენ მგლოვიარე ქუთაისელები!...

იქ მოზრდილი ადამიანის ერთი ნორმალური სახე ვერ დავინახე, მხოლოდ ბავშვები და თინეიჯერები „ხალისობდნენ“, ინტერვიუებიც ბავშვებს ჩამოართვეს! ბავშვებთან ტინგიცობდნენ და „სელფაობდნენ“ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ წამყვანები!

ეგ თქვენი გედის სიმღერა იყო „კოლეგებო“! რა ვქნა, მთელი საქართველო გაგინებთ! მე პირადად მივიჩნევ, რომ „რუსთავი-2“ — საქართველოს ფსიქოლოგიური საწამლავი და „CO“-ა!

ქუთაისელებო, ჯერ ერის სიამაყე, კლასიკოსი მწერალი მიწისთვის არ მიგიბარებიათ და როგორ გააბედვინეთ მაგ ნაცისტების ლაქიებს ტაშ-ფანდურის გამართვა მგლოვიარე ქალაქში?!

თუ თქვენც ტყემალ ზე ზიხართ და აზრზე ვერ მოსულხართ! ვინ დაკარგეთ! სირცხვილი, ქუთაისელებო!... სირცხვილი!

თამაზ ჭეიშვილი

რევოლუცია გოდრით!

ასეთი პროვოკაციული ქმედება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული

③

⑤ ქუჩაში დარჩენილი ვალმოხდილი პოლიციელი

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების პროექტი, შესაძლოა, ჩაიშალოს?!

ამ მოსაზრებას პოლონურ გამოცემა ონეტ-პლ-სთან საუბარში პოლონეთის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენელი კონრად ზაშოვტი გამოთქვამს.

„პროდასავლურად განწყობილი ქართული ელიტა ქვეყნის რუსეთის კონტროლის ქვეშ მოქცევას არ დაუშვებს, თუმცა, თუ დასავლური სახელმწიფოები საქართველოს იგნორირებას გააგრძელებენ, ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესი შესაძლოა, ჩაიშალოს. საქართველო ევროკავშირის, ნატოსა და რუსეთს შორის სტრატეგიულ ვაკუუმში აღმოჩნდება და 90-იანი წლების შიდაპოლიტიკურ დესტაბილიზაციას დაუბრუნდება“, – აცხადებს ზაშოვტი.

ექსპერტის მოსაზრებით, უახლოეს მომავალში ნატო საქართველოსთვის სამხედრო დახმარებას არ გაზრდის, თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში ალიანსის საწვრთნელი ცენტრი გაიხსნა.

როგორც ზაშოვტი განმარტავს, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ბევრი მეგობარი არ ჰყავს, თუმცა, მისი ერთ-ერთი მოკავშირე პოლონეთია.

მისი მოსაზრებით, უახლოეს მომავალში საქართველო-რუსეთს შორის ახალი კონფლიქტის დაწყება მოსალოდნელი არ არის, თუმცა, მოსკოვი დესტაბილიზაციას მომავალშიც შეეცდება და, შესაძლოა, სამცხე-ჯავახეთსა და პანკისის ხეობაში „სეპარატისტული ჯგუფების“ დახმარება დაიწყოს.

პირველი სასწავლო წელი – უმამოდ

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა, მისმა მოადგილეებმა, სხვადასხვა დეპარტამენტის, სამხარეო სამმართველოების და განყოფილებების უფროსებმა, ასევე რიგითმა პოლიციელებმა შს სამინისტროს დაღუპული თანამშრომლების შვილებს სასწავლო წლის დაწყება პირადად მიულოცეს, საჩუქრები გადასცეს და სკოლაში წაიყვანეს.

2015 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების – გიორგი ბერუაშვილის და ბექა მარგიშვილის შვილებისთვის მამის გარეშე პირველი სასწავლო წელია. შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ბექა მარგიშვილის შვილი ოთარ მარგიშვილი სკოლაში პირადად წაიყვანა, ხოლო გიორგი ბერუაშვილის შვილი მარიამ ბერუაშვილი – მამამისის მეწყვილე გიორგი მახარაშვილმა.

შს მინისტრის გადაწყვეტილებით, სამინისტროს თანამშრომლებმა დაღუპული პოლიციელების შვილებს, უფროსკლასელებს გურამ დოჩანაშვილის წიგნი „სამოსელი პირველი“ გადასცეს, თავად ავტორის და შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილის სამახსოვრო წარწერებით, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს კი – სასკოლო ჩანთა, მაჯის საათი სიმბოლური წარწერით და სასკოლო ნივთები.

„არის მომენტები, როდესაც მამის გვერდით დგომა განსაკუთრებით გჭირდება...სწორედ ამან გადამწყვეტინა, რომ დღეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი ჩვენი პოლიციელების შვილების გვერდზე მათი მამების კოლეგები დავმდგარიყავით.

ოთოს მამამ სიცოცხლე თითოეული ჩვენგანის უსაფრთხოებას შესწირა და დღეს მისი შვილის გვერდზე სახელმწიფო დგას, ეს ყოველთვის ასე იქნება,“ – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა სკოლაში სტუმრობისას.

◎ ჭორბიუროს კი უბერავს...

საქართველოში ჭორებს ბოლო არ უჩანს (თუმცა, ბევრი მათგანი ხშირად მართლდება ხოლმე) – თუ გასული კვირის დასაწყისში ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე და მისი მხრიდან „ქართული ოცნების“ ლოკომოტივის ფუნქციის შესრულებაზე ჭორაობდნენ, ახლა უკვე ბიძინას უფროსი ვაჟიშვილის – უტას გაპოლიტიკოსებაზეა საუბარი. მეტიც, ჭორბიუროს ცნობით, როლები იცვლება და სიის პირველი ნომერი სწორედ უტა იქნება.

ჭორი ჭორად, მაგრამ, დღევანდელი ურთულესი ვითარება ბიძინა ივანიშვილს მოსვენებას რომ არ უნდა აძლევდეს, ცხადია. თავისი სიტყვები, თუ ქვეყანას ძალიან გაუჭირდება, მე ისევ დავბრუნდები პოლიტიკაშიო, რეალობად უნად აქციოს – სხვანაირად, ოქტომბრის მონაპოვარსაც დაკარგავს და საკუთარ რენომეს გაურკვეველ პერსპექტივას გაუმზადებს...

უჯა მოდის?!

რა თქმა უნდა, ივანიშვილი დამარცხებულის პოზიციაში ჩადგომას ვერ შეეგუება – იგი ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ ახალი „რევოლუციის“ ნანგრევებში არ აღმოჩნდეს!

მიუხედავად იმისა, რომ შეუსრულებელი დაპირებების გამო მისი ადრინდელი შარავანდედი ნელ-ნელა იცრიცება, დღეს საქართველოში სხვა ალტერნატივა არ არის და საზოგადოებაც იძულებულია, სწორება ისევ ივანიშვილზე გააკეთოს!

საქმე ისაა, რომ ვერა და ვერ შევძელით „მოჯადოებული წრის“ გარღვევა და ნორმალური, სახელმწიფო ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება – „ნაცების“ ხელისუფლებაში მობრუნება ერის გილიოტინაზე ნებაყოფლობით ასვლის ტოლფასია, სხვა პოლიტიკური ძალები ერთ ადგილს ტკეპნიან და კარგა ხანია გაკოტრების კანდიდატთა სიაში აღმოჩნდნენ. „ახალი სისხლი“ , ახალი სახეები, რომლითაც ხშირად აპელირებენ საზოგადოებაში, არა და არ ჩანს...

ბევრი ვარაუდობს, რომ ქვეყანაში ლიდერის დეფიციტია და ამიტომ ვერ ხერხდება ჯანსაღი, ქვეყანაზე ორიენტირებული ძალების კონცენტრირება , თუმცა, იმაზე ნაკლებად ვფიქრობთ, რომ პირიქითაა- საზოგადოებაში არ არის მოთხოვნილება ახალ ლიდერზე, რომლის გარშემოც სწორედ ახალი, გაუცვეთავი სახეები გაერთიანდებიან!

ერთი რამ უდავოა – კარსმომდგარი არჩევნები და შექმნილი მწვავე რეალობა „რაღაცის“ შეცვლის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.

ვეთანხმები ბ-ნ გია ხუხაშვილს, რომ დღეს გვინდა, არ გვინდა, სწორება ისევ ბიძინა ივანიშვილზე უნდა გავაკეთოთ. თუ რა ფორმით დაბრუნდება იგი პოლიტიკაში, მისი გადასაწყვეტია, მაგრამ, ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ შეცდომის დაშვების უფლება არ მივცეთ.

„შეცდომაში“, უპირველესად, ივანიშვილის ახალი გუნდი იგულისხმება, რომელიც ადრინდელისგან განსხვავებით, სულ სხვა კრიტერიუმით უნდა დაკომპლექტდეს!

მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის შემდგომმა პერიოდმა მას გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება შესძინა , ვერ ვიტყვით, რომ ივანიშვილი თანამედროვე პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა – ეს არც სამთავრობო გუნდის შერჩევის პრაქტიკას და ხელისუფლების სტრატეგიას ეტყობა. ხშირად ურთიერთგამომრიცხავი და საკამათოა მისი ოფიციალური განცხადებებიც.

ძნელი სათქმელია, გააკეთა თუ არა დასკვნები მან საკუთარი შეცდომებიდან და რა ახალ სტრატეგია-ტაქტიკას გვთავაზობს იგი, მაგრამ, ერთი რამ ფაქტია – საქართველოს ბედი ისევ სასწორზეა შეგდებული!

ახლა რაც შეეხება უტას პოლიტიკაში შემოსვლას და „ქართული ოცნების“ პირველ ნომრად გამწესებას. არ არის გამორიცხული, ეს ასეც მოხდეს – უტას გაპოლიტიკოსება პირდაპირ თუ ირიბად ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას ნიშნავს...

თუ ობიექტურად განვსჯით, ამ შემთხვევაშიც ექს-პრემიერის პოლიტიკური პასუხისმგებლობის ხარისხი არ სუსტდება – ივანიშვილი მაქსიმუმს გააკეთებს, რომ საკუთარი ვაჟიშვილი სერიოზული დარტყმის ქვეშ არ დააყენოს.

მოდით ახლა ივანიშვილის 2011 წლის პოლიტიკური განცხადება გავიხსენოთ, სადაც იგი პოლიტიკაში შემოსვლის მიზეზად უფროს ვაჟიშვილს -უტას ასახელებს.

ექს-პრემიერი გვარწმუნებდა, რომ ეს გადაწყვეტილება სწორედ ოჯახის, განსაკუთრებით უტას ზეწოლით მიიღო. მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ ქართველი მილიარდერი პოლიტიკაში საკუთარ ვაჟიშვილს შემოიყვანდა და ეს განცხადება სწორედ ამიტომ კეთდებოდა, მაგრამ, ასე არ მოხდა – უტა პოლიტიკას გაარიდა, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და გარკეული პერიოდის შემდეგ ისევ დაგვემშვიდობა.

ახლა არ ღირს იმაზე საუბარი, ივანიშვილი სააკაშვილზე შურისძიების მოტივით შემოვიდა პოლიტიკაში თუ უტას დაჟინებული მოთხოვნით. მაგრამ, ერთი რამ ფაქტია: საქმე გვაქვს მემკვიდრეობის პრინციპთან, რომელსაც ქართული სახელმწიფოებრიობის ტრადიციის გათვალისწინებით ბევრი კითხვის ნიშანი შეიძლება გამოუჩნდეს...

ქართველი საზოგადოება უტას ჯერჯერობით არ იცნობს, მით უმეტეს არ იცნობს როგორც შემდგარ პოლიტიკოსს, რომელსაც მმართველი პარტიის ლოკომოტივის შესრულების მისია უნდა დაეკისროს.

ასევე საზოგადოებას წარმოდგენა არა აქვს მის საქმიან თვისებებზეც. რაც შეეხება განათლებას, უდავოა, რომ უტას საფუძვლიანი ევროპული განათლება აქვს მიღებული, მაგრამ, ეს საკმარისი არ არის დიდ პოლიტიკაში შემოსასვლელად.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოში შექმნილი მწვავე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება ჩვეულებრივ სტანდარტებში არ ჯდება. აქედან გამომდინარე, ევროპაში მიღებული ცოდნა (თეორიული ბაზა) არ შეიძლება წარმატებული პოლიტიკური კარიერის გარანტად ჩავთვალოთ.

მით უმეტეს, არ ვიცით, რა ფუნქციას იტვირთავს იგი საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში!

თუ ეს ჭორი გამართლდება და უტა ივანიშვილი მომავალ არჩევნებში „ქართული ოცნების“ პირველ ნომრად ვიხილეთ, მის მიმართ ინტერესი საქართველოში საგრძნობლად გაიზრდება. ამ თემას ჩვენც ბევრჯერ დავუბრუნდებით და უფრო ღრმა ანალიზსაც მოგაწვდით.

მანამდე, კი, ყველამ ერთად გავიაზროთ, რას მისცემს ქვეყანას ივანიშვილის უფროსი ვაჟიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა!!!

საბა საბახტარაშვილი

ინფორმაცია თემაში

„მოქალაქე“ უტა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვას გამორიცხავს

განცხადებას ამის შესახებ „მოქალაქე“ სოციალურ ქსელ Facebook-ში, თავის ოფიციალურ გვერდზე ავრცელებს.

„ბოლო დღეებში რამდენიმე საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა დეზინფორმაცია უტა ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო ჩართვის შესახებ, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. საზოგადოება „მოქალაქე“ აცხადებს, რომ მსგავსი ინფორმაციის გავრცელებას არანაირი საფუძველი არ გააჩნია – უტა ივანიშვილი პოლიტიკაში ჩართვას გამორიცხავს როგორც ამ ეტაპზე, ისე – სამომავლოდ“, – ნათქვამია განცხადებაში.

◎ SIC!

ტელევიზიების უმრავლესობას კვლავ სააკაშვილ-ბოკერიას ტანდემი აკონტროლებს!

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე „რეპორტიორთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მედიის დიდ ნაწილს დღემდე სააკაშვილ-ბოკერიას ტანდემი აკონტროლებს. მისი განმარტებით, პრემიერის ვიზიტი, რომელიც ჩინეთს სტუმრობდა, ტელევიზიებში ცუდად გაშუქდა, ხოლო დროის უმეტესი ნაწილი ნაციონალების კოორდინაციით მოწყობილი აქციების გაშუქებას დაეთმო:

„კიდევ ერთი მარგალიტი იმისა, თუ როგორ „აკონტროლებს“ და ვითომ ზღუდავს ტელევიზიებს ხელისუფლება. პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთშია, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ვიზიტი, ხელი მოეწერა და ფაქტობრივად გადაწყდა რამდენიმე მრავალმილიონიანი ინვესტიციის პროექტი, რომელიც საქართველოში განხორციელდება.

თითქმის ყველა ცენტრალურმა არხმა დაბლოკა ეს ვიზიტი და თუ გააშუქა, მე-9 ან მე-10 სიუჟეტად. სამაგიეროდ, ყველა საინფორმაციო გამოშვება ნაციონალების კოორდინატორების მიერ მოწყობილი ვითომ აქციების გაშუქებებით იწყება და ქვეყანაში ვითომდაც ეკონომიკური აპოკალიფსის ილუზიის შექმნით მთავრდება. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ტელევიზიების უმრავლესობას ხელისუფლება კი არა, სააკაშვილ-ბოკერიას ტანდემი აკონტროლებს და უსაგნო აჟიოტაჟი იმის შესახებ, რომ თითქოს სიტყვის თავისუფლება იზღუდება, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება – ძირითადი მედიასაშუალებანი კვლავ ნაცების დიქტატის ქვეშ იყოს და ნაცების პროპაგანდას ემსახუროს.

ქართული დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი ამოცანაა, ტელევიზიები დაიხსნას ნაციონალების დიქტატისგან და ამ დემოკრატიულ მისიას აუცილებლად აასრულებს ჭეშმარიტად თავისუფლად მოაზროვნე საზოგადოება. ვერავითარი ნაციონალების წიოკი ვერ შეაჩერებს ამ პროცესს. ყველა ტელევიზია თავისუფალი უნდა გახდეს ნაცების დიქტატურისგან!!!“ – აცხადებს ბრეგაძე „რეპორტიორთან“ საუბრისას.

◎ როდის ჩნდება „გონივრული ეჭვი“

რევოლუცია გოდრით!

ყურძენი ჩვენი ეროვნული პროდუქტია.

ყურძენი, გარდა იმისა, რომ მომავალი ღვინო და ჩურჩხელა-ჯანჯუხაა, შეიძლება დიდი ვნებათაღელვის საგნადაც იქცეს.

იქცა კიდეც!

გურჯაანში, მაგალითად, რამდენიმე დღეა ხალხი ფეხად ჩამოწყდა მიტინგზე, სწორედ ყურძნის გამოისობით.

ფასს აპროტესტებს.

სახელმწიფო რომ გვპირდება, რასაც ქარხნები არ ჩაიბარებენ, ჩვენ შევისყიდით, რქაწითელს 70, საფერავს კი 85 თეთრადო, თანახმა არა ვართ, ლარი თქვანო. როგორც შარშანო.

მთავრობა კი, ჯერჯერობით, ცოცხალი თავით ლარს არ ამბობს.

არც ესენი იშლიან და გამგეობის წინ ამბავია, დედა შვილს არ აიყვანს.

ისე, ღმერთი არ არის? სააღდგომოდ საჩაქაფულე ახალი ტყემალი ჭიქა 3 ლარი ღირდა!

ასეთი გაქირი შაჰ აბასს არ გაუწვიაო, მიტინგზე ვიღაცამ გაიხსენა.

თუმცა არ დაუკონკრეტებია, მაინც რამდენს უხდიდა მაშინ ის სულძაღლი გურჯაანელ მევენახეებს.

ვაზს ავჩეხავთო!

ერთმა კიდევ უფრო საშინელი განზრახვა ამცნო შეკრებილთ: ხუთი ტონა მაქვს, აი აქ, კიბესთან დავყრი და კარგი დედ-მამის შვილია, ვინმემ ფეხი დაკაროსო. იმას თუ ნიშნავდა, მომსვლელ-მიმსვლელმა უკიბოდ იფრინონ გამგეობაშიო.

ვოლტერმა თქვა, ღმერთი რომ არ არსებულიყო, ჩვენ უნდა გამოგვეგონებინაო.

რატომღაც მგონია, ვიღაც-ვიღაცებმა, სწორედაც რომ, გამოიგონეს ყურძნის შეხმატკბილებული მღელვარება კახეთში.

მთავრობა 85 თეთრს კი არა, 185 რომ შეპირებოდა, ჩვენი დემოკრატიაზე გადარეული ნაცები მაინც ააფეთქებდნენ გოდრებს, ამ შესაძლებლობას არ გაუშვებდნენ ხელიდან!.

იქ, ადგილზე დეპუტატ-აგიტატორი ღვინიაშვილი რომ დამელაობს ვენახ-ვენახ, აქ, თბილისში სულ ბოლი ამოსდით პირიდან მაუზერისტ ორატორებს.

ირმა ნადირაშვილმა სულ შუბლის ძარღვი გაიწყვიტა: ყურძენი ვაზზე ლპება, გლეხები მოკრეფას და ჩაბარებას ვერ ახერხებენო.

არადა, იმავე „რუსთავი-2“-ში ითქვა, ყურძენი ჯერ ბოლომდე არ დამწიფებულა, რთველი, ფაქტობრივად, ჯერ არ დაწყებულაო.

მოდი და გაიგე ამათი ლოგიკა!

გიორგი გაბუნიამ, ჩვეული ცივი ღიმილით ახალი საშიშროება ამცნო საქართველოს, კახეთი ყურძნის ბარიკადების მოლოდინშიაო.

ეს ცეცხლწაკიდებული ინფორმაცია ძალაუნებურად ჩერნიშევსკის მოწოდებას გახსენებს: ხელები ნაჯახს, ამხანაგებოო!

გურჯაანში საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩენილმა ავად სახედახოკილმა ნათელაშვილმა უფრო დააკონკრეტა: თუ კახელ მევენახეებს არ გადაუხდიან იმდენს, რამდენსაც თხოულობენ, ხელისუფლება მიიღებს ყურძის რევოლუციას!

ოოო, ახლა კი ხელები აკაემს, ამხანაგებო, შეურიგებელი ლეიბორსიტებიც მოდიან!

არადა, შალიკოს რომ ნოსტრადამუსივით ნათელი ხილვები აქვს, ვიცით. მაგან რომ ამას წინათ ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ ფეხები დაუბაკუნა თბილისს, დაუნ დიქტეიტედო და ჩვენი ხელისუფლება სოროში ჩაძვრა, რა დაგვავიწყებს!

საბოლოოდ რითი დამთავრდება ყურძნის ამბოხი გურჯაანში — გაბუნიას ბარიკადები მოიწველის შალვას რევოლუციას? გლეხები ვენახებს შეესევიან ალესილი ნაჯახებით?

ალბათ, არა, მთავრობა, რა გზა აქვს, უთუოდ ვითარების შესატყვის ნაბიჯს გადადგამს. განაწყენებულებიცა და გამნაწყენებელიც საერთო ენას გამონახავენ.

მეორეც, არ შეიძლება ცხელ გულზე ნათქვამზე მიადგეს გლეხი მარჩენალ ვაზს ასაჩეხად.

იყო ერთხელ, რამდენიმე წლის წინათ ასეთი პრეცედენტი. უფრო სწორად, ცდა. უშედეგოდ. ვერ გაიმეტეს, ხელი არ მოუბრუნდათ.

ახლა კვლავ ზემოთქმული: გურჯაანელ მევენახეთა საპროტესტო აქციაში აშკარად ილანდება დამრაზმავ-წამქეზებელი ხელი.

სულაც ტელევიზიით მოვისმინეთ: ბევრი მომიტინგე სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის აქტივისტიაო, ზოგიერთ მათგანს ვენახი საერთოდ არა აქვსო.

შეიძლება ასეც არის.

შეიძლება არც არის.

ოღონდ „გონივრული ეჭვი“ აშკარად ჩნდება!

ერთი სიტყვით, რთველი 2015 დიდი ხმაურით იწყება.

არადა, ყურძენი თბილისის ნებისმიერ მაღაზიაში ორი ლარი ღირს!..

ალეკო ასლანიშვილი

ასეთი პროვოკაციული ქმედება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნაციონალურ მოძრაობას გლეხების გამოყენებით პროვოკაციულ ქმედებებში ადანაშაულებს. პრემიერმა შესაბამისი განცხადება მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გააკეთა და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდა, ყურძნის ჩაბარების ადგილებზე ვითარება მაქსიმალურად გააკონტროლონ და „პროვოკატორები მოაშორონ“.

„მინდა მივმართო პოლიტიკოსებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, რომ არიან პოლიტიკოსები — მათი ასეთი პროვოკაციული ქმედება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული. მე ვიცი, რომ ერთ-ერთი დეპუტატი, გვარად ღვინიაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში იყო კახეთის გუბერნატორი და, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა ღვინის კომპანიებს, რომ არ ჩაებარებინათ ყურძენი მაღალ ფასად, რა სუბსიდირებაზე იყო ლაპარაკი, იმის გამო, რომ ერთგულება დაუმტკიცოს გუბერნატორს, თუმცა არა კახეთის, არამედ — ოდესის, ჩადის რეგიონში და აქტიურობს. მინდა მივმართო სამართალდამცავ ორგანოებს, ბატონ მღებრიშვილს — გთხოვთ, მაქსიმალურად გააკონტროლოთ ადგილზე სიტუაცია, რომ მოსახლეობას არ შეექმნას ჩაბარებაში რაიმე პრობლემა. ეს პროვოკატორები მოვაშოროთ ადგილებიდან. თუ ვინმე პროვოკატორი შეეცდება სიტუაციის დაძაბვას, თქვენ იმოქმედებთ, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში. ყოვლად დაუშვებელია, რომ ისეთი დისკრედიტირებული ორგანიზაცია, როგორიცაა ნაციონალური მოძრაობა, ჩადის და 20-30 კაცის მეშვეობით, რაღაც ინტრიგნული მეთოდებით, პროვოკაციული მეთოდებით აპირებს რთვლის ძალიან პოზიტიური სურათის გაფუჭებას და მოსახლეობის დაძაბვას“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ახალი ხელისუფლების პირობებში, სოფლის მეურნეობაში 1 მილიარდი ლარის ინვესტიცია განხორციელდა

პრემიერმა სოფლის მეურნეობის დარგში გასული 3 წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობაზე ისაუბრა და განმარტა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში აღნიშნულ სექტორში 1 მილიარდი ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

„არასდროს ყოფილა არა თუ ასეთი, ამის ნახევარი ინტერესიც კი წინა მთავრობის დროს. რომელი მთავრობა ახსოვს რომელიმე ადამიანს ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც დაპირებული 1 მილიარდი ლარის ინვესტიცია განახორციელა? — დღემდე ჩვენ გვაქვს 1 მილიარდ ლარამდე ჩადებული სოფლის მეურნეობის დარგში, რა თქმა უნდა, კერძო სექტორის დახმარებით. ასეთი ინტერესი ამ დარგის მიმართ არც ერთი ხელისუფლების დროს არ ყოფილა. უკვე მესამე წელია, ჩვენ წარმატებით ვახორციელებთ უფასო ხვნა-თესვის პროგრამას. მოგეხსენებათ, ასევე მესამე წელია „იაფი აგროსესხების“ პროგრამაც წარმატებით გრძელდება. ჩვენ დავიწყეთ პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, — აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა რთველზეც ისაუბრა და ყურძნის ფასთან დაკავშირებით გლეხების ნაწილის უკმაყოფილება მათთვის არასათანადო ინფორმაციის მიწოდებას დაუკავშირა.

„საჭიროა მეტი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის. ბატონო ოთარ (დანელია) და კოლეგებო, მინდა მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმართოთ ეს პროცესი, რათა არავის გაუჩნდეს განცდა, რომ სახელმწიფომ მცდელობა დააკლო ან სუბსიდირების თანხა შევამცირეთ. არამც და არამც — რაც იყო ბოლო სამი წლის განმავლობაში, ჩვენ წელსაც იგივე თანხა დავტოვეთ და ამაზე ვარ პასუხისმგებელი. ეს გვიჯდება დაახლოებით 60 მილიონ ლარამდე“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კახეთის რეგიონში უკვე 7,1 ათას ტონამდე ყურძენია გადამუშავებული

ღვინის ეროვნული სააგენტოს მტკიცებით, კახეთში რთველი შეფერხების გარეშე მიმდინარეობს. ამ დროისთვის კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 7,1 ათას ტონამდე ყურძენი. მათ შორის, 1 700 ტონამდე —რქაწითელი, 2 320 ტონამდე — საფერავი, 375 ტონამდე — კახური მწვანე და 2 700 ტონამდე — სხვა ჯიშის ყურძენი.

რთველი კახეთში შეფერხების გარეშე მიმდინარეობს — დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონების შემდეგ რთველში გურჯაანის, ლაგოდეხისა და თელავის რაიონების სოფლებიც ჩაერთო. კახეთში ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 21 ღვინის მწარმოებელი კომპანია, მათ შორის, 6 სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ღვინის საწარმო. **ამ დროისთვის რთვლის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 80 ღვინის კომპანია.**

PSP მევენახეებისგან 300 ტონა ყურძენს შეისყიდის

PSP-ს აღნიშნული ინიციატივა პირველი არაა. სხვადასხვა წლებში კომპანია მხარს უჭერდა ქართული მევენახეობის განვითარებას. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია საქართველოში კვლავ განვითარდეს მევენახეობა და მოსახლეობა მოტივირებული იყოს, უფრო მეტი ყურძენი მოიყვანოს.

ინტერპრესი

ქართული ეთნოლოგიური სკოლის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი

გამოჩენილ ქართველ ეთნოლოგს ვახტანგ შამილაძეს 2015 წლის 15 სექტემბერს 80 წელი შეუსრულდებოდა.

ის იყო ქართული ეთნოლოგიური სკოლის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, რომელსაც XX საუკუნეში საფუძველი აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ ჩაუყარა. ბატონმა ვახტანგმა სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის რთული გზა განვლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიამდე. მან მნიშვნელოვანი ნაშრომები შესძინა ეთნოლოგიურ მეცნიერებას და ქართული ტრადიციულ ყოფითი კულტურა მსოფლიო არენაზე გაიტანა.

ბატონი ვახტანგი აღიარებული სპეციალისტი იყო ეთნოლოგიის დარგში. მისი მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო ქართველი ხალხის მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის პრობლემები, ეთნოსისა და ეროვნული პოლიტიკის ზოგადთეორიული ასპექტები, ისტორიული ეთნოლოგიის, ეთნოლოგიის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის საკითხები. ამ პრობლემებს მიეძღვნა ვ. შამილაძის 160-ზე მეტი ნამუშევარი, წერილი და სტატია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე, რომელთა შორის 10 მონოგრაფიაა. აღნიშნულ ნაშრომებსა და მონოგრაფიებში ბატონი ვახტანგი მიმართავს ეთნოლოგიური კვლევის ახალი წყაროების ძიებას და ქართველი და კავკასიელი ხალხების ტრადიციული კულტურისა და ყოფის ეთნოსპეციფიკური ნიშნების თავისებურებათა გაშუქებას. მეცნიერული კვლევა-ძიების ამ გზაზე მკვლევარმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, რითაც ხელი შეუწყო ქართული ეთნოლოგიური სკოლის განვითარებასა და შემდგომ წინსვლას. მის ნაშრომებში წამოყენებულმა და განზოგადებულმა თეორიულმა დებულებებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო ბატონი ვახტანგის საუნივერსიტეტო მოღვაწეობა. იგი წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს, სპეცკურსებს საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიაში, ეთნოლოგიის წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და მეთოდოლოგიური მიმართულების, ეთნოლოგიაში ძირითადი თეორიული მიმდინარეობების შესახებ.

1988-1990-იანი წლების დასაწყისში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრა, რომელსაც ვახტანგ შამილაძე ორ ათეულ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა, არაერთხელ გამხდარა საზოგადოებრივი შეკრებებისა და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობის ცენტრი.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეკიდებოდა ბატონი ვახტანგი ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეს. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობითა და კონსულტაციებით დაცულია თსუ ეთნოლოგიის კათედრის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის სამეცნიერო კველვითი ინსტიტუტის, საქართველოს სხვა სამეცნიერო-პედაგოგიური ცენტრების (სოხუმი, თბილისი, ახალციხე), საზღვარგარეთის (ისრაელი, ბულგარეთი) და ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის რესპუბილკების (ადიღე, დაღესტანი, აზერბაიჯანი) მეცნიერ-თანამშრომელთა 20 საკანდიდატო და 7 სადოქტორო დისერტაცია. ეს ჩამონათვალი გაცილებით დიდი იქნებოდა, რომ არა ტრაგიკული გარდაცვალება, რამაც არ მისცა შესაძლებლობა ასევე წარმატებით გაეწია ხელმძღვანელობა 10-მდე ასპირანტისა და ხარისხის მაძიებლისთვის.

ბატონი ვახტანგი სიცოცხლის ბოლო დღემდე ეწეოდა მნიშვნელოვან სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობას, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოლოგიური კომისიის, აგრეთვე კავკასიის ხალხებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თავჯდომარე, ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კავკასიის კულტურათა შემსწავლელი საზოგადოების წევრი, აშშ ქალაქ ნიუ-ორლეანის საპატიო მოქალაქე, თსუ და სხვა ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოსა და კომისიების წევრი. 2002 წელს გახდა აშშ ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ მსოფლიოს 1000 ცნობილ მეცნიერთა ნომინაციაში გამარჯვებული და მისი ბიოგრაფიული მონაცემები შევიდა ამავე ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ლექსიკონში.

ასეთი დაძაბული და ნაყოფიერი სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობა სრულებით არ უშლიდა ხელს ბატონ ვახტანგს, წარმატებით ელვაწა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე.

გარდაცვალებამდე ბატონი ვახტანგი სისტემატურად ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის პოპულარიზაციას საერთაშორისო მასშტაბით.

ბატონი ვახტანგ შამილაძე ერთი პირველთაგანი იყო ქართველ ეთნოლოგთა შორის, რომელმაც უშუალოდ გააგრძელა გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძის, რუსუდან ხარაძის, ალექსი რობაქიძისა და სხვ. ტრადიციები და თავის კოლეგებთან ერთად შემდგომ განავითარა ქართული ეთნოლოგიური სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება — კავკასიათმცოდნეობა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებულ კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიამ მისი ხელმძღვანელობით დიდი ძალა და ენერგია შეალია სსრკ-ის დაშლის შემდეგ წლების განმავლობაში შეწყვეტილი მეცნიერული კონტაქტების აღდგენას კავკასიის ქვეყნებსა და სამეცნიერო წრეებთან.

ბოლო ხანს კავკასიის რეგიონში შექმნილ რთული ვითარების მიუხედავად სიცოცხლის ბოლომდე ბატონი ვახტანგი არაერთგზის სწვევია ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის აკადემიურ, საუნივერსიტეტო, სამეცნიერო და სამთავრობო ცენტრებს და პირადი კონტაქტების საფუძველზე ცდილობდა თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვას. 1998-2005 წწ. კავკასიის ხალხებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის უშუალო ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები თბილისში (1998, 2002, 2004 წწ.). ერევანში (1999, 2003წწ.), მახაჩყალაში (1999წ.) და ბაქოში (2000წ.). 2001 წელს ირანის რესპუბლიკის ქალაქებში — თავრიზში, ყაზვინში, თეირანსა და ისპაჰანში ჩატარდა თეირანის უნივერსიტეტისა და დასავლეთის არასამთავრობო გაერთიანებების მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები, რომლებშიც კავკასიის კომისიის მხარდაჭერითა და მონაწილეობით ცალკე ადგილი დაეთმო ირანულ-კავკასიურ მეცნიერულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა პრობლემებს. ბატონი ვახტანგი ამ კონფერენციების არა მარტო მომხსენებელი და მონაწილე, არამედ ერთ-ერთი ორგანიზატორიც იყო.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ვ. შამილაძე დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ (1982 წ.), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1983 წ.) და ღირსების ორდენით (1998 წ.). ქართველი ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისა და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ბატონი ვახტანგი დაჯილდოებული იყო საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელით (2007 წ.).

ბატონი ვახტანგ შამილაძე იყო საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული, უაღრესად თავდაბალი, შრომისმოყვარე და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მეცნიერი, ასეთი გვემახსოვრება მის კოლეგებს.

როინ მეტრეველი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

ვლადიმერ პაპავა,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი.

შეუცვლელი, საიმედო, მართალი კაცი

ღირსეულად განვლილი რვა ათეული

ჭეშმარიტი მამულიშვილისა და ნაღდი კაცის ცხოვრებით განვლილ 80 წლისთავს გილოცავთ, ჩვენო სანიმუშო მეგობარო ელიზბარ ლომინაძე!

შენ საკუთარი ხელწერით და შენეული ცხოვრების წესით მაგალითი უჩვენე დიდ სამეგობროს, თუ როგორ უნდა იცხოვრო წუთისოფელში. 80 წელი შენნაირი კაცისთვის ბევრი არ არის, რადგანაც ჯერ კიდევ მრავალი ადამიანის გაკეთილშობილების შესაძლებლობა და უნარი შეგწევს.

მრავალრიცხოვან საახლობლოში ყველგან და ყოველთვის ღირსებით ყოფნა ღვთით ბოძებული მადლი და ნიჭია, რითაც ასე უხვად დაგაჯილდოვა უფალმა.

საკუთარი ხელწერით და შენეული ცხოვრების წესით, ძვირფასო ელიზბარ, მაგალითი უჩვენე დიდ სამეგობროს და სრულიად ქართველ საზოგადოებას, როგორც ნათქვამია: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულნ“. შენ კი სწორედ ბედის და ღვთის რჩეული ხარ ჩინებულთა შორის, რადგან ქველმოქმედება, გაჭირვებულთა დახმარება, თავმდაბლობა, სამშობლოს სიყვარული და ინტელიგენტობა არის შენი მთავარი თვისება... შენ ხარ ჭეშმარიტად ზნეობრივი, ქრისტიანი ადამიანი, რომელიც უზომოდაა შეყვარებული სამშობლოზე, ოჯახსა და სამეგობროზე.

ჩვენო ელიზბარ, შენ ხარ ღვთის მიერ ნაბოძები საუკეთესო თვისებების მატარებელი ღირსეული მამულიშვილი, ქვეყნისა და ხალხის ჭეშმარიტი პატრიოტი, ერთგულებით და უდიდესი პასუხისმგებლობით გამორჩეული პიროვნება.

წლებმა დაგვაკავშირა, წლებმა გამოსცადა ჩვენი ძმობის და ურთიერთთანადგომის უნარი. შენ შეუდარებელი ხარ. ისე არავინ გიცნობს, როგორც შენი სამეგობრო, შენ ერთ-ერთი გამორჩეული ხარ ძმობასა და მეგობრობაში, ხელგაშლილი და გულღია მასპინძელი, ჭირსა თუ ლხინში თანამდგომი, სწორედ ამიტომაც სრულიად სამართლიანად გიწოდა „კაცი ლეგენდა“ თავის სათავგადასავლო წიგნში შენმა ერთ-ერთმა სტუდენტმა მეგობარმა.

შენ იმითაც ხარ გამორჩეული, რომ სადაც, რა თანამდებობაზეც მუშაობდი, ყოველთვის ღირსეულად და წარმატებით ართმევდი თავს დაკისრებულ მოვალეობებს.

ჩვენო ელიზბარ, ეჭვგარეშეა, რომ შენ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ გაჩენილი, ვინაიდან საყოველთაო პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებ. ამიტომაც ხარ შეუცვლელი, საიმედო და მართალი კაცი. შესანატრია შენთან მეგობრობა, საქმიანი და ადამიანური ურთიერთობა, ხარ ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში ჩვენს ერთ-ერთ მეგობარს, როცა გამოხატა თავის მოსაზრება შენი პიროვნების როგორც ყველას პატრონის შესახებ: „ჩვენო ელიზბარ, შენ ყველაზე დიდხანს უნდა იცოცხლო, რადგან ყველას ისე პატრონობ და... აპატიოსნებ, რომ ამას სხვა ვერავინ შესძლებსო“.

დღეს იშვიათობაა შენებრ სიკეთის კეთებისათვის დაბადებული ადამიანი. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, დაგვეწერა წიგნი შენს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ეს იქნებოდა ყველაზე საუკეთესო საჩუქარი შენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის, მთელი საქართველოს ახალგაზრდობისთვის.

შენ უხმაუროდ აკეთებ საშვილიშვილო საქმეებს. ამის დასტურია მშობლიური ვანის რაიონის სოფელ სალომინაოში შენს მიერ აშენებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ამიტომაც, შენს პიროვნებას გულწრფელ პატივს მიაგებენ როგორც ნაცნობ-მეგობრები, ისე საზოგადოების ყველა წრის წარმომადგენლები.

უფალმა გაგვიმრავლოს შენი სპეტაკი დიდი ოჯახის ძირი და ფესვი.

აფერუმ, ასე ლამაზად, მხნედ განვლილი თქვენეული ათეული!

მრავალჟამიერ, ჩვენო ელიზბარ!

პატივისცემით
თანაკურსელები

რედაქციისგან:

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მთელი სულითა და გულით უერთდება ბატონ ელიზბარ ლომინაძის თანაკურსელთა საიუბილეო წერილში გამოთქმულ ყველა აზრსა და შეფასებას, ყველა კეთილ გულისთქმას და თავის მხრივ უსურვებს იუბილარს, ბატონ ელიზბარს, ჭეშმარიტად იშვიათ ადამიანს, საუკუნემდე დარჩენილი ოცი წელიწადიც ასევე მხნედ, ჯანმრთელად, გულმართლად და თავის საყვარელ ადამიანებთან ერთად „მოელუნოს“ და ყველას ერთად აღგვენიშნოს ამ ფრიად ღვაწლმოსილი მამულიშვილის უკვე საუკუნოვანი იუბილე.

თქვენ ამას იმსახურებთ, ბატონო ელიზბარ, თქვენი დიდი კაცურად, ქართულად განვლილი ლამაზი ცხოვრებით.

◎ რედაქციაში წერილი შემოვიდა

ქუჩაში დარჩენილი ვალოზდილი პოლიციელი

ამბას წინათ მეგობრის დასაფლავებაზე ვიყავი დგებუაძის ქუჩაზე მდებარე სახლში. იქ მოვიკითხე ცნობილი პოლიციელის, თბილისის კოლორიტის, პოლკოვნიკ რევაზ ჭანტურიას ამბავი, რომელიც იმავე სახლში ცხოვრობდა. მისი მეზობლების ნაამბობმა ცუდად გამხადა და ამის გამო დასაფლავებას აღარ დავესწარი, რადგან გაგონილმა მართლაც გამაოგნა.

თურმე ეს საოცრად ღვაწლმოსილი და დამსახურებული პოლიციელი ახლა თავის ეზოსთან ახლოს, ჩიხში... ავტომანქანაში ცხოვრობს(?!).

ქვეყნის წინაშე მისი დამსახურება და ამჟამინდელი საგალალო მდგომარეობა უთუოდ იმსახურებს ქალაქის ხელმძღვანელობის ყურაღდებასა და დახმარებას, რაც, იმედია, მას არ მოაკლდება!

დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი ხელისუფლება და თვით ბატონი დავით ნარმანია გულისყურით განიხილავენ ოპერატიული სამსახურის მართლაც ლეგენდარული მუშაკის, თბილისელთა მრავალი წლის ქომაგისა და დამცველის, დამნაშავეობასთან თავგანწირვით მებრძოლი პოლკოვნიკის რევაზ ჭანტურიას განცხადებას და, როგორც გამონაკლისი, დააკმაყოფილებენ მის მორჩილ თხოვნას და ჩვენს შუამდგომლობას.

ანატოლი გეწაძე,
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

P. S. მთლიანად ვიზიარებთ ბატონ ანატოლი გეწაძის წერილის პათოსს, მხარს ვუჭერთ მას და თბილისის მერიის წინაშე ვშუამდგომლობთ:

რომან გვენცაძე, შს ექს-მინისტრი, გენერალი; დავით ზეიკიძე, თემურ მურღულია, ვახტანგ გვარამია, გენერლები; ანდრო გიორგაძე, სამხატვრო აკადემიის პროფესორი; ნოდარ ფოფხაძე, მოქანდაკე; მიხეილ სალარიძე, გელა კეტაშვილი, რაფიელ ჩიმიშკიანი, ოლიმპიური ჩემპიონები; ნანა ფაჩუაშვილი, ჯემალ ლაღანიძე, საქართველოს სახალხო არტისტები; დალი მუმლაძე, თეატრმცოდნე, პროფესორი; ლელა გეგეშიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; წუგზარ უბერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

რატომ დავინტერესდი მისით?

იმიტომ, რომ რ. ჭანტურიას 30 წელზე მეტია ვიცნობ და მისი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საგმირო ამბების მომსწრე ვარ.

ჯერ მარტო ის ვთქვათ, რომ რ. ჭანტურიამ საზოგადოებისგან იზოლაციაში მოაქცია 40 ე. წ. „კანონიერი ქურდი“. ან თუნდაც თბილისის სამი საიუველირო მაღაზიის ქურდობის გახსნა რად ღირს, როდესაც მან, გენერალ რომან გვენცაძის ხელმძღვანელობით, 70 კილომდე ოქროს ნაქურდალი ნაწარმი დაუბრუნა ქვეყანას!

აღარაფერს ვამბობ პროფესორ ვალიკო ფარქოსაძის, მოქანდაკე ოთარ ფარულავას, პროფესორ გივი ინწკირველისა და სხვა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ბინებზე ყაჩაღურად თავდამსხმელები რომ ჰყავს დაპატიმრებული.

ბ-ნ რ. ჭანტურიას არაერთხელ გაურისკავს სიცოცხლე თბილისელთა უსაფრთხოებისთვის. არ შემიძლია, არ გავიხსენო 1978 წელს თბილისის ზოოპარკში, გააფთრებული ორმხრივი სროლისას, მაისურაძეების ბინაზე თავდამსხმელთა მეთაური რომ დაჭრა და დააპატიმრა. ან ასევე ორმხრივი სროლისას, ქ. ზესტაფონში რამდენიმე ათეული ადამიანის მკვლელობისთვის ძებნილი ანატოლი ბეცი რომ გამოასალმა სიცოცხლეს, გლდანში მრავალი ადამიანის მკვლელი 10 წლის ძებნილი შეიარაღებული დევაძე რომ შეიპყრო...

ან ის რად ღირს, რომ შვებულებაში მყოფმა, უიარაღომ და მარტომ, აბაშის რაიონის სოფელ მარანთან, ავტომაგისტრალზე, დააკავა ორი შეიარაღებული ძებნილი, რომლებიც ტაქსის მძღოლს თავს დაესხნენ და ძარცვავდნენ. ამისთვის სამხედრო პროკურატურამ ბატონი რევაზი „წითელი ვარსკვლავის“ საბრძოლო ორდენზე წარადგინა.

ისიც გამახსენდა, ჩეჩნეთის სოფელ შალიში 26 მოპარული ავტომანქანა რომ იპოვა და თვით ჩეჩნებს გადმოაყვანინა საქართველოს საზღვარზე.

ერთი რამ კი განსაკუთრებით აღსანიშნავია: 1989 წელს, მაშინ კაპიტანმა ჭანტურიამ, მართლაც თავი გასწირა, თბილისის რკინიგზის ცენტრალური სადგურისკენ „მცოცავ“ ცეცხლმოდებული მატარებლის შემადგენლობას შეახტა, ააღებული, ბენზინით სავსე სამი ცისტერნა ჩახსნა და დედაქალაქის ნახევარი დაწვას გადაარჩინა. ამისთვის იგი საქართველოს უმაღლესმა საბჭომ „ხანძარზე მამაცობისთვის“ ორდენით დააჯილდოვა. ბევრი ჩვენგანი თვით გახლავთ მოწმე, 1989 წლის 9 აპრილის საშინელ ღამეს როგორ მოხერხებულად გამოიყვანა უწმინდესი და უნეტარესი სამშვიდობოს, მთავრობის სახლთან კარს მომდგარ უბედურებას გაარიდა და თვითონ კი უკან დაბრუნდა, შეევარდა მტრის ხროვაში, რამდენიმე წამით შეუშალა ხელი ჯალათთა შეტევას, რითაც შესაძლებელი გახდა უსინათლო მომღერალთა სამშვიდობოს გამოყვანა და გადარჩენა.

ვინ იცის, რამდენი ასეთის გახსენება მომიწევს რევაზის დასახასიათებლად.

თვალწინ მიდგას მისი სიცოცხლის ხალისით აღსავსე სახე, მოუსვენარი ხასიათი, შემართება და გადავწყვიტე, მენახა იგი. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, დგებუაძის ქუჩის მიმდებარე, ყოფილი I რკინიგზის სკოლის ეზოსთან ჩიხში მართლაც ვიპოვე ავტომანქანა, რომელშიც ლეგენდარულ პოლიციელს ეძინა, ფრთხილად გავაღვიძე, შეიშმუშნა და მორიდებით, მორცხვად მომესალმა. მკითხველი რომ არ გადავღალო, მოკლედ მოგახსენებთ, იმას, რაც ბატონმა რევაზმა მიამბო.

ამ რამდენიმე წლის წინათ, მისი სახიფათო სამსახურის რთული რეჟიმით განცდებისგან გადაღლის გამოც, მეუღლე გულ-სისხლძარღვთა სნეულებით დაავადებია, რამდენიმე მწვავე ინფარქტი გადაუტანია, რის გამოც ბატონ რევაზს მეუღლის სამკურნალოდ ბინა გაუყიდია და ერთოთახიანში გადასულან. მეუღლეს მაინც ვერ ეშველა, იგი 1999 წელს გარდაიცვალა.

შემდეგ იყო 14-ლარიანი პენსია.

მერე თავად ბატონ რევაზს აღმოაჩნდა შაქრიანი დიაბეტი და ორჯერ მიოკარდის ინფარქტიც გადაიტანა, რისი მკურნალობაც, მოგეხსენებათ, დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ერთოთახიანის გაყიდვაც მოუწია და ახლა, რამდენიმე წლის მანძილზე ნათესავებისა და ახლობლების შეწუხების შემდგომ, მანქანაში უწევს ღამის თევა.

ვურჩიე, დამშვიდებულიყო და ქალაქის დღევანდელი ადამიანური ხელისუფლების წინაშე შუამდგომლობას შევპირდი. პასუხად კი მივიღე: **ცხოვრებაში ჩემს საქმეზე არავინ შემიწუხებია, პრივილეგიებით არასდროს მისარგებლია და უხერხული არ გამოვიდესო.**

მეორე დღეს მე და ჩემი მეგობრები კვლავ მივედით მასთან „საცხოვრებელში“, განცხადება დავაწერინეთ მისთვის მიწის ნაკვეთის საჩუქრად გამოყოფის შესახებ, შეძლებისდაგვარად გარკვეული თანხით დახმარებით დავაიმედეთ და ასე დავშორდით.

ვფიქრობ, ახლა დედაქალაქის ჯერია, სამაგიერო პატივი მიაგოს მის დამცველ პოლკოვნიკს!!!

◎ ფორმიანი ბოროტმოქმედნი

ყოფილი მაღალჩინოსანი პოლიციელები დანაშაულში ამხილეს

გამოძიებით მხილებულ იქნა შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ყოფილი უფროსი ჯაბა მაღლაფერიძე, რომელმაც 2011 წლის თებერვალში, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის დაკავებულ ბრალდებულ იაკობ ნადირაძის ოჯახის წევრებს მოსთხოვა ძვირადღირებული ა/მანქანის შეძენა და გადაცემა, წინაალმდეგ შემთხვევაში ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდებოდა და მას მოუწევდა საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნა. პოლიციის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის ამგვარი ზეწოლის შედეგად, ბრალდებულ იაკობ ნადირაძის ოჯახის წევრებმა „ტოიოტა“-ს ცენტრში, 57 100 აშშ დოლარად შეიძინეს ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო LC150“, რომლითაც სარგებლობდა პოლიციის ხსენებული მაღალჩინოსანი. მხოლოდ ამის შემდეგ ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, ავტომანქანის იძულებით ჩამორთმევაში გამოძიების მიერ ასევე მხილებულია შსს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომელმაც 2011 წლის ოქტომბერში, ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულ ავთანდილ მიქაძეს, საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ უკანონოდ დაათმობინა მისი კუთვნილი 12 000 აშშ დოლარის ღირებულის 2004 წელს გამოშვებული „BMW 520“ მარკის ავტომანქანა.

უძრავი ქონების ჩამორთმევაში ასევე მხილებულია შსს ყაზბეგის პოლიციის გამომძიებელი ვაჟა გელაშვილი, რომელმაც მოქალაქე ზაზა ფართლაძეს 2009 წლის დეკემბერში, ისე რომ ამ უკანსკნელის მიმართ არც ერთ სისხლის სამართლის საქმეში არ მიმდინარეობდა გამოძიება, უკანონოდ დაათმობინა დაბა გუდაურში მდებარე 60 000 დოლარის ღირებულების 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლითაც დაინტერესებულნი იყვნენ იმჟამინდელი შსს და პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები.

მოქალაქის საკუთრების უფლების ხელყოფისთვის მხილებული მეოთხე საჯარო მოხელე კი გახლავთ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამდებობის პირი, რომელმაც კუდის უფროს დათა ახალაიასთან შეთანხმებით, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებულ თეიმურაზ გავაშელიშვილს, სასამართლოში ბრალდების მოხსნის სანაცვლოდ, 2011 წლის მაისში სახელმწიფოსთვის აჩუქებინა მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანები „ფოლცვაგენ-ჯეტა“ და „მერსედესი E 200“ და 35 000 ლარამდე ღირებულების, მისი ოჯახის წევრების კუთვნილი, 48 სახეობის პირადი ოქროს სამკაულები.

„ჩვენ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შეგნებულად არ ვასახელებთ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის და შსს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ყოფილი თანამდებობის პირების ვინაობას, რათა ამით ხელი არ შეეშალოს ამ დანაშაულში ჩართული სხვა საჯარო მოხელეების, მათ შორის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ დაწყებულ გამოძიებებს, რომლის შედეგებიც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება გამოძიების დასრულებისთანავე. აქვე მოგახსენებთ, რომ გამოძიებასთან გამოჩენილი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, ხსენებული საჯარო მოხელეების მიმართ, გამოყენებულ იქნა დისკრეცია და არ მოხდა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. ახალი დეპარტამენტის მიერ გახსნილი ოთხივე დანაშაულებრივი ფაქტის შედეგად აღდგენილი იქნება 4 დაზარალებულის დარღვეული უფლება. ოთხივე დაზარალებულს, პროკურატურის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიერ დაუბრუნებს ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული უკანონოდ ჩარმორთმეულ 4 ავტომანქანას, 1 უძრავი ქონებას — მიწის ნაკვეთს და 35 000 ლარამდე ღირებულების ოქროს 48 ნაკეთობას“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

საქმე №1/92-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

10 სექტემბერი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: თემურ ჭიღლაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 8 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი მოპასუხის თემურ ჭიღლაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2012 წლის 13 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა” და თემურ ჭიღლაძეს შორის დაიდო №061250743 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1200 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 13.07.2012წ.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: ბმვ 5281; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1997; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WBADD6326WBW32128; სარეგისტრაციო მოწმობა:AV7591435; სარეგისტრაციო ნომერი: CGL777.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე თემურ ჭიღლაძეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თემურ ჭიღლაძეს სამჯერ გაეგზავნა რეგისტრაციის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართებზე არ იმყოფებოდა და არც ფოსტის მიერ დატოვებულ შეტყობინებას მიაკითხა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე თემურ ჭიღლაძის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და საარბიტრაჟო განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე თემურ ჭიღლაძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება. ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე თემურ ჭიღლაძეს (პირადი №01021010931) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
2. თემურ ჭიღლაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. № 175/ბორჯომის ქ. №2, მე-2 სართული, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.
3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე თემურ ჭიღლაძეს ეცნობოს, რომ 2015 წლის 13 ოქტომბერს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, მე-2 სართული, ბინა 11. დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით თემურ ჭიღლაძის მიმართ.
5. თემურ ჭიღლაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/91-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

10 სექტემბერი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: თემურ ჭიღლაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 8 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი მოპასუხის თემურ ჭიღლაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2012 წლის 9 ივლისს შპს „ნოვა კრედიტსა” და თემურ ჭიღლაძეს შორის დაიდო №071260743 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 7500 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 08.09.2012წ.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: ფორდ ტრანზიტი; ტიპი: სატვირთო ფურგონი; ფერი: თეთრი; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2001; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) № WF0LXXGBFL1U14772; სარეგისტრაციო მოწმობა: AV8029556; სარეგისტრაციო ნომერი: IFI948.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე თემურ ჭიღლაძეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თემურ ჭიღლაძეს სამჯერ გაეგზავნა რეგისტრაციის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართებზე არ იმყოფებოდა და არც ფოსტის მიერ დატოვებულ შეტყობინებას მიაკითხა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე თემურ ჭიღლაძის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და საარბიტრაჟო განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე თემურ ჭიღლაძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება. ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე თემურ ჭიღლაძეს (პირადი №01021010931) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
2. თემურ ჭიღლაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. № 175/ბორჯომის ქ. №2, მე-2 სართული, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.
3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე თემურ ჭიღლაძეს ეცნობოს, რომ 2015 წლის 13 ოქტომბერს 10:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, მე-2 სართული, ბინა 11. დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით თემურ ჭიღლაძის მიმართ.
5. თემურ ჭიღლაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/98-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

10 სექტემბერი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: კობა ალავერდაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 13 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს ,,ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი მოპასუხის კობა ალავერდაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების შესახებ.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:
კობა ალავერდაშვილმა 28.04.2015წელს შპს ,,ნოვა კრედიტთან” დადო ხელწერილი 3 დღის ვადაში 102 ლარის გადახდის ვალდებულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.
მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე კობა ალავერდაშვილზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე კობა ალავერდაშვილს სამჯერ გაეგზავნა რეგისტრაციის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართებზე არ იმყოფებოდა და არც ფოსტის მიერ დატოვებულ შეტყობინებას მიაკითხა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე კობა ალავერდაშვილის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და საარბიტრაჟო განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე კობა ალავერდაშვილის რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს. ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე კობა ალავერდაშვილის (პირადი №25001023777) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.
2. კობა ალავერდაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, მე-2 სართული, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.
3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე კობა ალავერდაშვილს ეცნობოს, რომ 2015 წლის 13 ოქტომბერს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, მე-2 სართული, ბინა 11. დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით კობა ალავერდაშვილის მიმართ.
5. კობა ალავერდაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/84-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

10 სექტემბერი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ილია ლომსაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 16 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი მოპასუხის ილია ლომსაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:
2012 წლის 25 დეკემბერს შპს ,,ნოვა კრედიტსა” და ილია ლომსაძეს შორის დაიდო №121291289 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 25.06.2013წ.
სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: სუბარუ ლეგასი; ტიპი: სედანი; ფერი: თეთრი; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1999; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №BE5040332; სარეგისტრაციო მოწმობა: AV9390540; სარეგისტრაციო ნომერი: PVP033.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.
მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ილია ლომსაძეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ილია ლომსაძეს სამჯერ გაეგზავნა რეგისტრაციის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართებზე არ ცხოვრობს და არც ფოსტის მიერ დატოვებულ შეტყობინებას მიაკითხა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ილია ლომსაძის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და საარბიტრაჟო განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ილია ლომსაძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს. ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ილია ლომსაძეს (პირადი №01017024597) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
2. ილია ლომსაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, მე-2 სართული, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.
3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე ილია ლომსაძეს ეცნობოს, რომ 2015 წლის 13 ოქტომბერს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, მე-2 სართული, ბინა 11. დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ილია ლომსაძნს მიმართ.
5. ილია ლომსაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და 2015 წლის 30 ივნისის №46 განკარგულებისა, 2015 წლის 29 სექტემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქუჩა №2, ოთახი №416) დღის 12 საათზე ჩატარდება საჯარო აუქციონი, ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

დანართი N1

N	საინვენტარო ნომერი	ძირითადი საშუალების დასახელება	საწყისი ფასი
1	18253	კომპიუტერის მონიტორი "HP Compaq1530"	33
2	13079	კომპიუტერი "HP Compaq 6100 "	65
3	15943	პრინტერი "Canon MF 3228"	41
4	13957	კომპიუტერი "Ibm 2000"	41
5	13960	კომპიუტერის მონიტორი "Ibm 15"	41
6	16968	კომპიუტერი "DELL 210L"	77
7	11208	კომპიუტერის მონიტორი "DELL 15"	41
8	14699	სვიჩი "Cisco 2950"	41
9	10402	კომპიუტერის მონიტორი "Dell 15"	41
10	15936	პრინტერი "HP LJ 2420"	41
11	13989	კომპიუტერი "Ibm 2400""	77
12	13961	კომპიუტერის მონიტორი "Ibm 15"	41
13	17160	ნოუთბუქი "Ibm R 40"	77
14	20530	ნოუთბუქი "DELL D520"	116
15	14973	სერვერი "IBMx346"	116
16	14971	სერვერი "IBMx445"	116
17	15336	სვიჩი "სისკო 2950"	49
18	12013	სკანერი "Hp 2400"	33
19	10405	პრინტერი "Hp lj 1012"	41
20	10459	პრინტერი "Hp lj 1012"	41
21	13528	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	77
22	10504	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	77
23	12005	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	77
24	11248	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	77
25	12269	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	41
26	12006	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	41
27	14039	პრინტერი "Hp lj 1012"	49
28	11016	პრინტერი "Hp lj 1012"	49
29	11616	პრინტერი "Hp lj 1012"	49
30	11017	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	49
31	15712	კომპიუტერი "HP Compaq 6100 "	77
32	17141	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Netgear"	41
33	13294	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Linksys"	41
34	13476	კომპიუტერის მონიტორი "HP 1506"	49
35	14795	უწყვეტი კვების წყარო "MGE 1100"	25
36	11549	კომპიუტერი "Dell 210L"	92
37	14517	კომპიუტერი "Dell 210L"	92
38	21507	კომპიუტერი "Dell 210L"	92
39	10426	კომპიუტერი "Dell 210L"	92
40	11411	კომპიუტერი "Dell 210L"	92
41	13191	კომპიუტერი "Dell 210L"	92
42	14002	კომპიუტერი "Dell 210L"	92
43	12070	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	49
44	11421	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	49
45	10046	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	49
46	17792	ნოუთბუქი "Hp 6830 S"	116
47	10413	ნოუთბუქი"Dell D520"	116
48	16001	ნოუთბუქი "Dell D520"	116
49	11751	ნოუთბუქი"Dell D520"	116
50	11371	ნოუთბუქი "Dell D520"	116
51	20029	ნოუთბუქი"HP 530"	138
52	13942	ნოუთბუქი "Dell D520"	116
53	13181	პრინტერი "Hp lj 1020"	65
54	13818	პრინტერი "Hp lj 1020"	65
55	12446	პრინტერი "Hp lj 1020"	65
56	11088	პრინტერი "Hp lj 1020"	65
57	10337	პრინტერი "Hp lj 1020"	65
58	10525	პრინტერი "Hp lj 2420"	138
59	14817	პრინტერი "Hp lj 2420"	138
60	14572	პრინტერი "Hp lj 2420"	138
61	13026	პრინტერი "Hp lj 2420"	138
62	10815	პრინტერი "Hp lj 2420"	138
63	10595	პრინტერი "Hp lj 2420"	138
64	13831	კომპიუტერი "Dell 620"	138
65	13760	ნოუთბუქი "Dell D520"	269
66	21575	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Linksys"	33
67	14065-13729	ნოუთბუქი "Hp 2710"-სადგურით	306
68	12906	პრინტერი "Hp lj 1012"	77
69	16991	სერვერი "IBM xserver 445"	345
70	12871-12872	ნოუთბუქი"Sony Vaio " -სადგურით	230
71	17148	ნოუთბუქი "Samsung r710"	192
72	17193-16933	ნოუთბუქი"Sony Vaio " -სადგურით	230
73	15977	ნოუთბუქი "Dell D520"	138
74	19546	პრინტერი "Hp lj p-1120"	65
75	21885	კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
76	19580	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
77	19524	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
78	19582	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
79	21841	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
80	21776	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
81	22746	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
82	19573	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
83	21795	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
84	22449	ნოუთბუქი"Hp 6930"	192
85	17542	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
86	17545	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
87	17590	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
88	17522	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
89	17529	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
90	17786	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
91	17532	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
92	21212	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
93	19625	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
94	17582	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
95	17599	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
96	17561	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
97	17581	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
98	17573	ნოუთბუქი"Hp 4510s"	192
99	17197	ნოუთბუქი "Hp 530"	116
100	17562	ნოუთბუქი "Hp 530"	116
101	17567	ნოუთბუქი "Hp 530"	116
102	17535	ნოუთბუქი"Hp 530"	116
103	18290	ნოუთბუქი "Hp 530"	116
104	17575	ნოუთბუქი "Hp 530"	116
105	17598	ნოუთბუქი "Hp 530"	116
106	17568	ნოუთბუქი "Hp 530"	116
107	17576	ნოუთბუქი "Hp 530"	116
108	17198	ნოუთბუქი "Hp 530"	116
109	17784	ნოუთბუქი "Hp 530"	116
110	17574	ნოუთბუქი "Hp 530"	116
111	18229	ნოუთბუქი "HP Compaq 6830s"	192
112	17570	ნოუთბუქი "Hp 530"	100
113	17602	ნოუთბუქი "HP Compaq 6830s "	230
114	21741	პრინტერი "HP LJ 1120"	65
115	18326	საარქივო მონაცემების შემნახველი "Ibm ds 4700"	3060

აუქციონი

116	15995	კომპიუტერი "HP Compaq DX6100"	138
117	20030	პრინტერი "HP Officejet 7000 Wide Format"	92
118	20013	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	269
119	20025	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	269
120	20020	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	269
121	20018	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	269
122	19576	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	138
123	1861	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24"	4590
124	1862	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24"	4590
125	1979	უწყვეტი კვების წყარო "APC SMART_UPS SC 450VA"	92
126	11615	ტელევიზორი "პანასონიკი"	77
127	13240	ტელევიზორი "Filipsi" დასადგამით	116
128	11768	ქსეროქსი "Canon PC 860"	65
129	15431	ტელევიზორი "Filipsi"	65
130	11821	ქსეროქსი "Canon ir 2020"	92
131	13550	ქსეროქსი "Canon lb mf 3228"	49
132	20050	ვირტუალიზაციის სერვერი "HP DL 180 G6"	269
133	213	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	41
134	221	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	41
135	231	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	41
136	232	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	41
137	237	კომპიუტერი "Ibm 2400"	77
138	248	კომპიუტერი "Ibm 2400"	77
139	261	კომპიუტერი "Ibm 2400"	77
140	272	პრინტერი "HP LaserJet 1010 "	41
141	273	პრინტერი "HP LaserJet 1010 "	
142	357	ქსეროქსი "Canon pc 120"	41
143	464	სერვერი "HP Server ML 110"	65
144	612	სვიჩი "Cisco WS-C3550-24-SMI"	116
145	613	სვიჩი " Cisco WS-2950T-24"	230
146	803	კომპიუტერი "HP 2400 "	77
147	814	პრინტერი "HP 1150"	77
148	896	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 1505 "	49
149	897	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 1505 "	138
150	898	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 3405 "	138
151	1863	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24 T-E"	116
152	1864	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24 T-E"	4590
153	15901, 16978, 16979	ვიდეო სათვალთვალო სისტემა (1 ც მულტიპლექსორი VideoTronic"; 2 ცალი სერვერი; 5 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	4590
154	27627	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ციფრული ვიდეო ჩამწერი "H. 264 Digital Video Recorder; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	621
155	27630, 27643, 27642, 15889	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი " NT-2416R"; 1 ც მონიტორი "Videotronic"; 1 ცალი მართვის პულტი Videotronic 1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 5 ცალი "Dome" კამერა)	930
156	15492	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	1240
157	27634, 27628	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი სერვერი "Honeywell"; 1 ცალი "UPS MGE - 1500"; 1 ცალი "Dome" კამერა)	930
158	15493, 15662	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 8 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic")	621
159	15491	ვიდეოკონტროლის აპარატურა (5 ცალი მულტიპლექსორი; 1 ცალი მონიტორი "VideoTronic 10 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic" და "Panasonic"; 3 ცალი ვიდეოკამერის სამაგრი ფეხი)	930
160	27629	ვიდეო კონტროლის სისტემის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 7 ცალი ვიდეოკამერა "YC 67 M")	930
161	18951	დაშვების ელექტრონული სისტემა (5 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საბარიერო აკეკი)	3718
162	27641	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 8 ცალი კამერა "VS-115NSHN-3")	9296
163	15490	ვიდეოკონტროლის სისტემა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 10 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic")	1240
164		დაშვების ელექტრონული სისტემა (1 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საბარიერო აკეკი)	930
165	15905	ვიდეო კონტროლის აპარატურა (ვიდეოჩამწერი "Panasonic")	1240
166	27635, 27636, 13233, 13230, 13221, 13226, 13227, 13225	ვიდეო კონტროლის აპარატურა–სვიჩი (5 ცალი სერვერი "Honeywell"; 2 ცალი გადამყვანი "SLT-1610R 1 ცალი სვიჩი "Cisco 3560"; 17 ცალი ვიდეო კამერა "YC 491W")	125
167	27639	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი მოდემი; 1 ცალი გადამყვანი "SLT-1610R")	4958
168	15806, 15907	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი სისტემის კონტროლი"VideoTronic"; 1 ცალი გადამყვანი „Everplex")	621
169	15659	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	621
170	15406	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	125
171	15889	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	125
172	18072-27640	ვიდეო კონტროლის აპარატურა (2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 10 ცალი "Dome" კამერა)	187
173	18073	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 5 ცალი "Dome" კამერა)	2790
174	27632	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 8 ცალი "Dome" კამერა)	2169
175	27631	ვიდეო–საკონტროლო სისტემის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 2 ცალი "Dome" კამერა)	2169
176	27637	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 3 ცალი "Dome" კამერა)	621
177	27638	ვიდეო კონტროლის აპარატურა (2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 8 ცალი "Dome" კამერა)	3099
		ჯამი	**87,197.00**

ლოტების საწყისი სააუქციონო ფასი განსაზღვრულია №1 დანართში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის №GE88NB0450100117904101 ანგარიშზე, (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ დაფიქსირებული თანხის გადახდა სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი ბე-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება საუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 5 (ხუთი) ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მოხდება ქონების მყიდველისათვის გადაცემა.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და ლოტების სანახავად შეგიძლიათ მიმართოთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

საქართველოს ეროვნული ბანკის
საუქციონო კომისია

◎ ღირსეულნი

წაგებით დადგეული შარავანდედი

ძართველმა კალათბურთელებმა ზედიზედ მესამედ ითამაშეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში და თანამემამულე ფეხბურთელთაგან განსხვავებით, რომლებმაც ღირსეულ დამარცხებებს მიგვაჩვიეს, ზედიზედ მესამედ იასპარეზეს კონტინენტური ფორუმის პლეი-ოფში. ასე რომ, საუბარი „ჯვაროსანთა“ კრიზისზე სპორტის სათამაშო სახეობებში, რომელიც თბილისში ამასწინათ გამართულ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ჩვენ გოგონათა და ჭაბუკთა ფიასკოს მოვყვა, მთლად საფუძვლიანი არ უნდა იყოს, რასაც იგორ კოკოშკოვის გუნდის გარდა თუნდაც წყალბურთელთა და, განსაკუთრებით, მორაგბეთა ეროვნული ნაკრებების მაგალითი მოწმობს – მოგეხსენებათ, „ბორჯღალოსნები“ რამდენიმე დღეში რაგბის სამშობლოში დანიშნულ მსოფლიოს თასზე ზედიზედ მეოთხედ(!) დაიცავენ სამშობლოს ღირსებას. კიდევ უფრო დასანანი ის გახლავთ, რომ მცირედი დაგვაკლდა მეოთხედფინალში გასვლამდე, რაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველად სპორტის გუნდურ სახეობებში ოლიმპიადის საგზურის მოპოვების რეალურ შანსს შეგვინარჩუნებდა.

საქართველო – ლიტვა 81:85

ევრობასკეტის ჯგუფური ტურნირის შემდეგ თბილისში დაბრუნებული ერთი კოლორიტული გულშემატკივარი მიმტკიცებდა – ასეთი სუსტი ლიტვის ნაკრები ძნელად გასახსენებელია და საერთაშორისო რეიტინგში მე-4(!) პოზიციამდე აღზევებულ მეტოქესთან გამარჯვებაზე ოცნება უტოპიური სრულიადაც არააო. როცა დავინტერესდი, რას ეფუძნებოდა მისი ოპტიმიზმი, ასეთი პასუხი მივიღე: ბალტიისპირელთა ძირითადი ცენტრი, ნბა-ს ერთ-ერთი კაშკაშა ახალგაზრდა ვარსკვლავი ვალანჩუნასი ტრავმირებულია, რამდენიმე მატჩი გამოტოვა და პარტნიორებს ტკივილგამაყუჩებლების დახმარებით შეუერთდა, ხოლო მისი დუბლიორი, ასევე ოკეანის გაღმა გამობრძმედილი მატეიუნასი ამავე მიზეზით საერთოდ განაცხადს მიღმა დარჩა, რაც ფარქვეშ ბრძოლაში ფაჩულიას, შენგელიასა და სანიკიძეს გადამწყვეტ უპირატესობას მიანიჭებსო. თანამოსაუბრემ საკუთარი ვერსია იონას კაზლაუსკასის შეგირდთა მიერ რიგაში დასრულებულ წინასწარ ეტაპზე გაჭირვებით გამოგლეჯილი მოგებებითა და ბელგიასთან წაგებით გაამყარა, ოღონდ იქვე დასძინა – წარმატების რეცეპტს მოწინააღმდეგის სნაიპერებისთვის პერიმეტრის გადაკეტვა და ოპერატიული სივრცის შეზღუდვა წარმოადგენსო.

სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიჭებმა ეს შეკვეთა თითქმის სრულყოფილად შეასრულეს, მაგრამ... ზოგადად სპორტისა და კონკრეტულად კალათბურთის ისტორიას მრავლად ახსოვს რომელიმე სოლისტის მიერ პირადი ძალისხმევით გადაწყვეტილი ბრძოლის ბედი. ამჯერად ჩინებულად მოთამაშე ქართველთა მაოხრებელი გზირის ფუნქცია მადრიდის „რეალის“ ვეტერანმა იონას მაციულისმა იტვირთა, რომელიც შორიდანაც უმოწყალოდ გვბომბავდა სამქულიანებით და მაღალი ინდივიდუალური ოსტატობითაც შედეგიანად დანავარდობდა ტანმაღალ თანაგუნდელთათვის საიმედოდ გადაკეტილ სამწამიან ზონაში. 34 ქულა – ასეთია მისი შთამბეჭდავი პირადი მონაგარი, რომელმაც ფაჩულიასა (23 ქულა) და კომპანიის მთელი ნაკაიკაცარი გადაწონა. ბუნებრივია, ცხელ გულზე ადვილია მომხდარის გამო ვინმეზე ან ობიექტურ გარემოებებზე პასუხისმგებლობის დაკისრება – ამის დროც მოვა, – მაგრამ დღეს, მოდით, აღნიშნულს დავჯერდეთ და მთელ გუნდს მართლაც ღირსეული ბრძოლისათვის მადლიერი სტრიქონები ვუძღვნათ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭიდაობა

თავისუფლების „ოქრო“ და ორი „ბრინჯაო“

ზუსტად 10 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებულმა რევაზ მინდორაშვილმა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ამ ხნის განმავლობაში თავისუფალთაგან, რომელთაც ამჟამად სწორედ მინდორაშვილი უდგას სათავეში,



მსგავსი ტიტული არავის დაუმსახურებია. და აი, გასულ უქმეებზე ამერიკულ ლას ვეგასში გამართულ მოჭიდავეთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო ევროპის ჩემპიონმა, ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, ნუგზარ სხირელის აღზრდილმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (57 კგ). პლანეტის უძლიერეს ფალავნებთან ჭიდილში მან მეორედ უწია ფინალს. ხინჩეგაშვილმა პირველ წრეში იტალიელ სალვატორე მანინოს სუფთად მოუგო – 10:0, მერე ბულგარელ გეორგი ვანგელოვს აჯობა 6:1. მეოთხედფინალში ყაზახი არტააშ სანაა დაჯაბნა დაძაბულ პაექრობაში – 7:5. ქართველმა ფალავანმა ნახევარფინალში მონღოლ ბეკბაიარ ერდენებატს სძლია იოლად – 6:0. დრამატული გამოდგა ფინალური ორთაბრძოლა ირანელ მსოფლიოს ჩემპიონ ჰასან რაჰიმთან. საფინალო გონგამდე სულ რაღაც 13 წამი რჩებოდა, ხინჩაგაშვილი 3:4-ს რომ აგებდა შეხვედრას. ამ მცირე დროში მან შეძლო 2 ქულისა და საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება, რითაც საქართველოს რვაწლიანი შესვენების შემდეგ ოქროს მედალი მოუტანა. ამასთანავე, 2016 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურიც დაიმსახურა.

ლას ვეგასში საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ორი ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა – მესამე ადგილებზე სანდრო ამინაშვილი (86) და გენო პეტრიაშვილი (125) გავიდნენ, ხოლო ელიზბარ ოდიკაძე (97) მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. სამივე მოჭიდავეს, ხინჩეგაშვილის მსგავსად, რიო დე ჟანეიროს თამაშების ლიცენზიები ერგო.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ასპარეზობისას.

◎ ჩოგბურთი

სოფიომ სოფიაში იყოჩალა

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) თბილისელი სოფიო შაფათავა წყვილებში უკრაინელ ანასტასია ვასილიევასთან ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი. ქართულ-უკრაინულმა ტანდემმა ზედიზედ ოთხ მეტოქეს აჯობა: დაამარცხა – ჰულია და ლუტფი ესენები (6:1, 6:2), ქრისტინა ადამესკუ, ოანა სიმიონი (ორივე-რუმინეთი, 6:2, 6:2), ალონა ბოლშოვა ზადაინოვი (ესპანეთი), ანდრეა გამიზი (ვენესუელა, 4:6, 6:3, 10:7), ელზა კოსტოვა (ბულგარეთი), კატერინა კრამეროვა (ჩეხეთი, 6:2, 6:2) და მთავარი პრიზი მოიპოვა.

ვაჟა ნოსირელი

◎ ძალოსნობა

63 ვაჟი და 2 ქალი

აფხაზეთის, აჭარის, ზუგდიდის, ქუთაისის, წყალტუბოს, ჭიათურის, საჩხერის, ხაშურისა და თბილისის 65 წარმომადგენელი ასპარეზობდა ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატში, რომელსაც ფრენბურთის ახალმა სასპორტო კომპლექსმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში დისკვალიფიცირებული შოთა მიშველიძისა (69 კგ) და ლაშა ტალახაძის (მძიმე წონა) გარდა, ქვეყნის ყველა წამყვანი ათლეტი მონაწილეობდა. პაექრობები წონების მიხედვით დაძაბულად წარიმართა. ჩემპიონატში უკონკურსოდ ორი გოგონაც გამოდიოდა – თათია ლორთქიფანიძე (63 კგ) და უკრაინიდან ნატურალიზებული ანასტასია გოტფრიდი (მძიმე წონა), რომლებიც 20-29 ნოემბერს ჰიუსტონში (აშშ) ძალოსანთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს. მათთან ერთად ჩვენი 8 ვაჟიც გავა ფიცარნაგზე. მათი ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა. ახლა კი წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულებს გაგაცნობთ: ზაზა ფუტკარაძე (56 კგ, აჭარა, ორჭიდში 202 კგ), რამინ შამილაშვილი (62, აჭარა, 262), გოგა ჩხეიძე (69, ზუგდიდი, 285), გიორგი ლომთაძე (77, ქუთაისი, 319), დათო ხარატიშვილი (85, აფხაზეთი, 315), რაულ ცირეკიძე (94, ქუთაისი, 354), გიორგი ჩხეიძე (105, ზუგდიდი, 360), ირაკლი თურმანიძე (+105, აჭარა, 416).

გუნდური: 1. ქუთაისი (183), 2. ზუგდიდი (179), 3. საჩხერე (179 ქულა).

გამარჯვებულები და პრიზიორები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა რაფაელ ჩიმიშკიანმა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა დააჯილდოვეს.

ლაშა დიდია

◎ მხატვრული ტანვარჯიში

ფაჟავას რიოს საგზური

გერმანიის ქალაქ შტუტგარტში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 57 ქვეყნის 120 სპორტსმენი იბრძოდა საპრიზო ადგილებისა და რიოს 2016 წლის 15 საგზურისთვის. საკვალიფიკაციო ეტაპზე შესანიშნავად იასპარეზა სალომე ფაჟავამ (მწვრთნელები – ელისო ბედოშვილი და ლალი დოლიძე) – მრავალჭიდში 53.166 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა და ფინალის მონაწილე 24 საუკეთესო სპორტსმენს შორის დაიბევა ადგილი. მერე ფინალშიც გამოიჩინა თავი – ოთხივე საგნით სტაბილური შედეგები აჩვენა, საბოლოოდ 71.782 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა და 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც მოიპოვა – ბრინჯაოს მედალოსან მელიტინა სტანიუტას მხოლოდ 0.35 ქულით ჩამორჩა. მრავალჭიდში ჩემპიონის ტიტული იანა კუდრიავცევას (75.632) ერგო, 74.766 ქულით კი მეორე იყო მარგარიტა მამუნი. ფაჟავამ ორი საგნით – გურზებითა და რგოლით ფინალურ რვა საუკეთესოში გამოსვლის უფლება მოიპოვა. საბოლოოდ გურზებით 18.000 ქულით მეხუთეზე გავიდა, ხოლო რგოლით ვარჯიშში სალომე (17.766) მეშვიდე იყო.

ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა (სალომე ფაჟავა, ნათელა ბოლატაევა, სალომე ურუშაძე) გუნდურში 34 ნაკრებს შორის 134.973 ქულით მე-11 ადგილი დაიკავეს და წინა წელთან შედარებით ორი საფეხურით დაწინაურდნენ. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. რუსეთი (149.990), 2. ბელარუსი (141.314), 3. უკრაინა (141.196).

გივი გაგუა

ეპიტაფია

სევდიანი სიცილის დიდოსტატი

რეზო ჭეიშვილის ხსოვნას



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და კინომ, სრულიად საქართველომ მძიმე და მტკივნეული დანაკლისი განიცადეს.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და ერისკაცი **რეზო ბენედიქტეს ძე ჭეიშვილი**.

ზეციური საქართველოს შეუერთდა შემოქმედი, რომელიც მწერალთა იმ მცირერიცხოვან გუნდს განეკუთვნებოდა, ფაქტობრივად რომ განსაზღვრავდა XX-XXI საუკუნეების ქართული მწერლობის დონეს. რეზო ჭეიშვილი თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში, დიახაც რომ, ამშვენებდა მშობლიურ მწერლობას და ქართველი კაცის მრავალწახნაგოვანი ელვარე ნიჭიერების უმშვენიერეს დასტურად გვევლინებოდა...

რეზო ჭეიშვილი დაიბადა 1933 წლის 24 აპრილს, ქუთაისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1954 წელს იგი ჩაირიცხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1959 წელს დაასრულა. მას შემდეგ რეზო ჭეიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „ცისკრის“ განყოფილების გამგედ, ალმანახ „საუნჯის“ განყოფილების გამგედ, ჟურნალ „განთიადის“ მთავარ რედაქტორად, საქლიტფონდის დირექტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ, გაზეთების „მოწამეთასა“ და „მწვანეყვავილას“ მთავარ რედაქტორად, ქუთაისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა სახლის პრეზიდენტად, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიისა და მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრად, საქართველოს პარლამენტის წევრად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრად... სადაც კი იღვაწა, ყველგან საყოველთაო ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, უპირველეს ყოვლისა, როგორც მაღალპროფესიონალმა შემოქმედმა, სამშობლო ქვეყნის გულმდუღარე ჭირისუფალმა და მეციხოვნემ...

რეზო ჭეიშვილი ლიტერატურულ სამყაროს 1958 წელს მოევლინა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის — ჩვენი ალმა მატერის ალმანახ „პირველ სხივში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ორი მოთხრობა. სწორედ მას შემდეგ დაიმკვიდრა მან ერთერთი უპირველესი ადგილი თანამედროვე ქართული პროზის დიდოსტატთა შორის.

განვლილმა ათწლეულებმა, არა ერთმა და ორმა, ცხადზე ცხადი გახადა, რომ რეზო ჭეიშვილი ჭეშმარიტი სულიერი მემკვიდრე გახლდათ დავით კლდიაშვილისა, რომ მის ნაწარმოებებში დაკვირვებული მკითხველი ფეიერვერკული, ფანტასტიკური იუმორის, სატირის, გროტესკის, სარკაზმის მიღმა ყველა უწმინდურობის წამლეკავ ვეება ცრემლს აღმოაჩენს, რომელსაც ის ჯადოსნური თვისებაც გააჩნია, რომ უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამოძმეს შვება მოჰგვაროს და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნოს.

რეზო ჭეიშვილის რომანებმა, მოთხრობებისა და ნოველების კრებულებმა, ისეთებმა, როგორიცაა „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „დალი“, „მეოთხე სიმფონია“, „ასკილის წითელი ყვავილი“, „ქარების დაბრუნება“, „ყაჩაღები“, „ჭეიაბლოკი“, „კუდიანი ვარსკვლავი“ და სხვები, კარგა ხანია, რაც ქართული პროზის საგანძურში დაიდო ბინა. მისი პროზა ადამიანური სევდისა და მწარე სიცილის ნაზავია, რომლებშიც გამოცდილი და ნაცადი ფსიქოლოგის დარად იკვლევდა ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებს და მის არსში გარკვევას ცდილობდა. ქვეყნის წარსულზე და განსაკუთრებით კი მის მომავალზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედი იყო და მუდამ სამშობლოს გადარჩენის გზებსა და საშუალებებს ეძიებდა. მსუბუქი იუმორით ნიღბავდა სათქმელს და დამაჯერებლად, კალმის ერთი მოსმით გვარწმუნებდა, რომ სამშობლო ქვეყნის სიკეთეები უგვან და ბოგანო არაკაცებს არ უნდა ჩაუგდო ხელთ და არ გააღიზიანო მათი ისედაც ზღვარგადასული მადა. სიცოცხლის ტრფიალი იყო, ბუნების ჭეშმარიტი შვილი და, ალბათ, ამიტომაც უწევდა ხოლმე გული ბუნებისაკენ, უმკაცრესი ზამთრის სუსხისა და ყინვის დროსაც კი; გაურბოდა ქალაქის მკაცრ ურბანისტულ გარემოს, რომელიც სულის გაუხეშებაშია გამეცადინებული. საქართველოს გაერთიანებაზე მეოცნებეს ღრმად სწამდა, რომ სწორედ ბაგრატის ტაძრის აღდგენა შეუწყობდა ხელს ამ დიდი, საშვილიშვილო პროცესის დაწყებას...

რეზო ჭეიშვილის ბრწყინვალე შემოქმედების ცალკეული ნიმუშები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

რეზო ჭეიშვილმა დიდი, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული კინოს აღორძინებაში, მის წინსვლასა და წარმატებებში. სწორედ მისი კინოსცენარების მიხედვით შეიქმნა ისეთი პოპულარული მხატვრული ფილმები, როგორიცაა „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „გათენების წინ“, „ზღვის მგელი“, სამანიშვილის დედინაცვალი“, „ყვარყვარე“, „ცისფერი მთები ანუ ტიანშანი“... სხვებთან ერთად ეს ფილმებიც აღვიძებდა ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას და მშობელ ერს თავისუფლების, დამოუკიდებლობის დაბრუნებისკენ მოუწოდებდა...

რეზო ჭეიშვილის ღვაწლი და რუდუნება სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, სსრკ სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის სახელობის, ჟურნალ „ოგონიოკისა“ და საბას პრემიები. დაჯილდოებული იყო პრეზიდენტის ბრწყინვალების, ღირსებისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით; არჩეული იყო ქუთაისის საპატიო მოქალაქედ...

ქართველ მწერლებს, მისი ელვარე, კაშკაშა ნიჭის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს დიდხანს ეხსომებათ რეზო ჭეიშვილი — ქართული პროზის დიდოსტატი, ჭეშმარიტი ერისკაცი ღვთიშობლის წილხვდომილი ქვეყნისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

დღეს რეზო ჭეიშვილის ცხედარს მწერლის მშობლიური ქუთაისის მიწა მიიბარებს.

დედამიწის ზურგზე

ტაჯიკეთში დაკავებულია ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის ბანდის კიდევ სამი მონაწილე

აბდუხალიმ ნაზარზოდის დანაშაულებრივი ბანდის დაჯგუფების წევრები დააკავეს სპეციალური ოპერაციის დროს რამიტის ხეობაში. რაიონში გრძელდება ძალოვანი სტრუქტურების ერთობლივი ოპერაცია ბანდის სალიკვიდაციოდ. ხელისუფლება ნაზარზოდს და მის მომხრეებს მიიჩნევს დამნაშავეებად პოლიციელებზე თავდასხმასა და მკვლელობაში, რომლებიც სექტემბრის დასაწყისში მოხდა.

ტაჯიკეთში თალიბები თავს დაესხნენ ციხეს და ასობით პატიმარი გაათავისუფლეს

ციხეზე შეტევაში ქალაქ განზიში მონაწილეობდნენ თვითმკვლელი ტერორისტები. ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ თავდამსხმელებს ავღანეთის არმიის ფორმა ეცვათ. ციხიდან 400-ზე მეტი პატიმარი გაიქცა, დაახლოებით 80 დაიჭირეს. თავისუფლებაში იმყოფება 352 კაცი.

ევროკავშირში ლტოლვილთა საკითხებზე შეხვედრა უშედეგო აღმოჩნდა. ევროკავშირის

ქვეყნებმა ვერ შეძლეს, შეთანხმებულიყვნენ მიგრანტების კვოტის საკითხზე, იტყობინება საკდესის წყარო. ახლა ევროკავშირს შეუძლია, მოიწვიოს ექსტრემალური სამიტი მიგრაციის საკითხებზე. ლტოლვილთა შემოტევის გამო გერმანიამ განაახლა სასაზღვრო კონტროლი. სხვა ქვეყნებიც ასევე ღებულობენ ზომებს საზღვრების განმტკიცებისათვის.

ეგვიპტეში პოლიციელებმა შეცდომით 12 მექსიკელი ტურისტი მოკლეს, ისინი მათ ტერორისტებად ჩათვალეს

ეგვიპტეში სროლის ქვეშ მოხვედრილი მექსიკელთა ტურისტული ჯგუფი იმყოფებოდა აკრძალულ ზონაში სათანადო ნებართვის გარეშე. ამის შესახებ განაცხადა ქვეყნის ტურიზმის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა რაშა ალაზაიზიმ. ტურიზმის მინისტრი ქვეყნის მიმავალ მთავრობაში ხალედ რამი აცხადებს, რომ მიაღწევს მგზავრობის ორგანიზატორი კომპანიის „მაქსიმალურ დასჯას“.

საბერძნეთის სანაპიროზე ჩაიძირა ნავი ლტოლვილებით. დაიღუპა 30-ზე მეტი კაცი, მათ შორის ოთხი ჩვილია

დაახლოებით 70 კაცი სანაპირო დაცვამ გადაარჩინა. კიდევ 30-მა მიგრანტმა შეძლო დამოუკიდებლად გამოსულიყო ნაპირზე. სავარაუდოდ, ინციდენტი მოხდა გრიგალისა და ნავის გადატვირთვის გამო. სულ რამდენი ადამიანი იყო ნავში, ჯერჯერობით უცნობია.

◎ პური ჩვენი არსობისა

ეს არის მეწარმეთა ხელშეწყობა?!

პატივცემულო რედაქცია, გწერთ რამდენიმე ქართული პურის საცხობის მეპატრონეები.შეიძლება ითქვას, საოჯახო ბიზნესი გვაქვს. ცუდმა „მიშამ“, რაც არ უნდა საკვირველი იყოს, ფიქსირებულ გადასახადზე გადაგვიყვანა, რისთვისაც მადლობელი ვართ.

ახლა ტელევიზიით ხშირად აცხადებენ მეწარმეობას ხელი უნდა შეეუწყოთო, მაგრამ მეწარმეებისთვის ენერგოშემცველები ძვირია და კიდევ მომატებაზეა საუბარი.

გაუგებარია, რატომ არ უნდა გვქონდეს როგორც ხარისხიანი, ისე იაფიანი ფქვილის შეძენის საშუალება? გვინდა პრემიერ-მინისტრს მივმართოთ: რაო, ჩვენმა ქვეყანამ უარი თქვა საბაზრო ეკონომიკაზე? რას ჰგავს ყოველივე, რაც ხდება? ვერ უნდა მიხვდნენ თქვენი მრჩეველები, რომ ბიზნესი მონოპოლიური ხდება, რაც ფასებს ზრდის? დაინტერესდით, რა ღირს ფქვილი მეზობელ ქვეყნებში და გვიპასუხეთ, რატომ გაძვირდა იგი 10-12 ლარით საქართველოში? ვინ გადაგვიხდის ხელოვნურად დაგროვილ ვალებს? ეს არის მეწარმეობის ხელშეწყობა? საოცარია ჟურნალისტების დამოკიდებულება — 10 თეთრიან დენის მომატებაზე საუბრობენ და 10 ლარში რამდენი 10 თეთრია, გვიპასუხონ და დაინტერესდნენ, ვინ სჩადის ამას? მერე წერონ, „არალოგიკურიაო“! ფქვილის ასე გაძვირება ლოგიკურია?

დავით გაგნიძე, სოლომონ ჭიჭინაძე, ნუგზარ გოგრონიძე, მალხაზ ნეგიერიძე,
პურსაცხობთა მეპატრონეები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ღვაწლმოსილი მუშაკი, სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ირინა ჯაფარიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 15 IX, 17 სთ. (განსვენებულის ბინაზე — ვაჟა-ფშაველას 45, 26-ე კორპ, III სად.) 16 IX, 17 სთ. (ქაშვეთის ეკლესიაში), გამოსვენება 17 IX, 14 სთ. (ქაშვეთის ეკლესიიდან).

◎ ინფორმაცია

აქცია „სითი პარკის“ წინააღმდეგ

„თავისუფალი საქართველო“ „სითი პარკის“ მიერ დაჯარიმებული მძღოლების იურიდიულ დახმარებას განაგრძობს. „თავისუფალი საქართველოს“ წევრებმა „სითი პარკის“ საჯარიმო ავტოსადგომთან აქცია გამართეს. პარტიის წევრები „სითი პარკის“ მიერ დაჯარიმებულ მძღოლებს მოუწოდებენ, უკანონოდ გამოწერილი ჯარიმები, რომლის მიხედვითაც კომპანია ავტომობილების ევაკუაციას ახდენენ, თბილისის მერიაში გაასაჩივრონ.

მიწისძვრა სოხუმის სიახლოვეს

სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, სოხუმთან ახლოს 4,8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

როგორც ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის სეისმოლოგმა ნინო ჩიქოვანმა განაცხადა, მიწისძვრის ეპიცენტრი სოხუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 42 კილომეტრში, მთებში დაფიქსირდა.

მიწისძვრა საშუალო სიმძლავრის იყო და ბიძგები ზუგდიდშიც შეიგრძნეს. მიწისძვრა დაახლოებით 13.08 საათზე მოხდა.

სეისმოლოგებისთვის უცნობია, გამოიწვია თუ არა მიწისძვრამ რაიმე ზიანი.

◎ მცირე ენციკლოპედია

თეთრი ბაირაღის ნიშანი

ყველამ ვიცით, რომ თეთრი დროშის გამოფენა მოწინააღმდეგის კაპიტულაციას ნიშნავს. მაგრამ, თურმე, როცა მას ხომალდზე აღმართავენ, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მისი ეკიპაჟი მტერს ნებდება.

საზღვაო სამართლით, ხომალდის კაპიტანი მოწინააღმდეგეს ამ ნიშნით აცნობებს, რომ მოლაპარაკების დაწყება სურს და, საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, ისიც ვალდებულია ბრძოლა შეწყვიტოს და მოლაპარაკება დაიწყოს, ხოლო დაუყოვნებლივი კაპიტულაციის ნიშნად კი ხომალდზე უკლებლივ ყველა დროშას უშვებენ.

გრძნობა თუ ანგარიში?

იტალიელმა მეცნიერებმა გასაოცარი დასკვნა გამოიტანეს მას შემდეგ, რაც ცოლ-ქმრული ურთიერთობების ხასიათი და განქორწინებების სტატისტიკა შეისწავლეს.



აღმოჩნდა, რომ მოსიყვარულე მეუღლეები იმათზე გაცილებით ხშირად ეყრებიან ერთმანეთს, ვიდრე ისინი, ვინც გარკვეული ანგარიშით შეუღლდა.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსიყვარულე ცოლ-ქმარს გაცილებით ხშირად მოსდით უსიამოვნება: მოსიყვარულე პარტნიორები ერთმანეთის ნებისმიერ შეცდომას ამჩნევენ, მეორე ნახევრისგან დათმობას, ან ქცევაში ცვლილებას ელიან, შედეგად კი ხშირად გული უცრუვდებათ.

ამასთან, გარემოებათა და ანგარიშის გამო შეერთებული წყვილები გაცილებით იოლად ხუჭავენ თვალს პატარ-პატარა ყოფით პრობლემებზე და პარტნიორის ხასიათის ნაკლს გაცილებით ადვილად ეგუებიან.

სახიფათო კოცნა

ამერიკელ მეცნიერთა აზრით, ეგრეთ წოდებულმა „ფრანგულმა კოცნამ“ შესაძლოა... ალერგიის შეტევის პროვოცირება მოახდინოს.

გამოკვლევის მსვლელობისას მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კოცნის დროს ერთი ორგანიზმის ნერწყვთან ერთად მეორეში მილიარდობით ბაქტერია, აგრეთვე სხვადასხვა ალერგენი გადაადგილდება, რომლებსაც ინტიმურ კონტაქტამდე ერთ-ერთი პარტნიორი საკვებთან, ან წამალთან ერთად იღებდა.

ალერგიკის ორგანიზმში მოხვედრისას ასეთი ნივთიერებები სხვადასხვა ნეგატიური რეაქციის მიზეზი ხდებიან — ესენია, კერძოდ, სურდო, ცხვირის ცემინება, გამონაყარი, ასევე ტუჩების, სახის, ხორხის შეშუპება. ალერგიის სხვადასხვა ფორმით დაავადებულ პირებს მედიკოსები სიფრთხილის განსაკუთრებული ზომების მიღებას ურჩევენ, მათ შორის ინტიმურ ურთიერთობებამდე კბილების გამოხეხვას და პირის გამოვლებას, ასევე მანამდე დღე-ღამით ადრე სახიფათო პროდუქტებისა და წამლების მიღებისგან თავის შეკავებას.

თამრიკო გურჯიძეს

საყვარელო თამრიკო მასწავლებელო, გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერებას, ულევ სიყვარულსა და სიხარულს გისურვებთ. ჩვენთვის არა მარტო საყვარელი პედაგოგი და დამრიგებელი ბრძანდებით, არამედ მეგობარი, ერთგული დამცველი და მესაიდუმლეც. გვსურს, ამგვარი ყურადღებით კიდევ მრავალი თაობა აღგეზარდოთ. გჯეროდეთ, თქვენს ამაგსა და შრომას დაგიფასებთ და სწორედ ისეთები ვიქნებით, როგორსაც თქვენ ისურვებთ.

პატივისცემითა და სიყვარულით
147-ე საჯარო სკოლის VI[6] კლასის მოსწავლეები.

◎ მკურნალი წინდები

ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.

ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!

წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.

შესაძენად დარეკეთ 293-37-87 (ივ. მაჩაბლის 7), იკითხეთ კუკური.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **მიხო** და მარო, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ თქვენს ნაწერში — „როგორ გავატარე ზაფხული“ — პოზების დახატვა საჭირო არ არის...

* * *

— **ეძიმო**, ჩემი ქმარი ერთთავად თითებს ატკაცუნებს. რატომ შვები ამას-მეთქი, რომ ვკითხე, წიანგებს ვაფრთხობო, მიპასუხა, — შესჩივის ქალი ფსიქიატრს.

— მდა... საინტერესო შემთხვევაა... ხვალ მოვიდეს ჩემთან...

მოვიდა ქმარი მეორე დღეს ფსიქიატრთან და თითებს ატკაცუნებს.

— რად ატკაცუნებთ თითებს? — ეკითხება ექიმი.

— წიანგებს ვაფრთხობ.

— მაგრამ ისინი ხომ აქ არ არიან?

— იმიტომ, რომ თითებს ვატკაცუნებ!

უცებ ელდანაცემივით გამაღვიძა იმის შეგრძნებამ, რომ სამსახურში მაგვიანდებოდა. თვალები გავახილე და დავმშვიდდი — სამსახურში ვყოფილვარ.

* * *

მეხანძრე მუსიკალურ სკოლაში აბარებს გამოცდას.

— რა განსხვავებაა ვიოლინოსა და როიალს შორის? — ეკითხებიან მას.

— როიალი უფრო დიდხანს იწვის, — უპასუხებს კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მეხანძრე.

* * *

დღესასწაულია. ავტოინსპექტორი აჩერებს მანქანას და გულდაჯერებით ეკითხება მძღოლს;

— მაშ, დავლიეთ, არა?

— არა!

— მერედა, რატომ?

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე